სახალხო ფურცელი

№ 794 სამშაბათი 14 თებერვალი 1917 წ. № 794

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—20 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „ქართლში“ პუშკინისა და ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ძველი სასულიერო სემინარიისა და ეღირება ერთი მანეთით მეტი,

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: **Тифлисъ „Сахалхо Пурцели“, поч. ящ. 190.**

ტელეფონი 12—29

მეუღლე მართა გრიგოლის ასული, შვილები: გიორგი, გაბრიელ, ლადიკო, ალიოშა, აპალონ და მარო, ძმები: ივანე, ბეჟუკი, ზოსიმე, და ნიკოლოზ სურგულაძეები, რძალი ნატაშა სერგის ასული ოსტრენკო და სიძე იასონ გიორგის ძე ჯორბენაძე გულმოკლულნი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ

მაქსიმელ გაბრიელის ძის

სურგულაძის

გარდაცვალებას ქ. ტფილისში: ცხედარი 9 თებერვალს წასვენებულ იქმნა სოფელ გომახურში, სადაც დაკრძალულ იქნება წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში.

ცოლი ნინო ნიკოლოზის ასული რჩეულიშვილისა შვილებითურთ: გიორგი, ივანე, დიმიტრი მიხეილის ძენი რჩეულიშვილები ცოლებით ეკატერინე და ალექსანდრათი და ქალი ანასტასია მიხეილის ასული რატიშვილისა, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ მოამაგე მამის

მიხეილ სპირიდონის ძის რჩეულიშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცის დღის შესრულების გამო, წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი სოფელ ურიათუბნის შტატის ეკლესიაში 16 თებერვალს. 193

ანდრია ნიკოლოზის ძე და ბარბარე გლახუას ასული გაწერელიები, იაკობ გაწერელია, იაკობ და მარიამ ყანჩაველნი, ნატალია ხულხანოვისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველთა საყვარელი ქალი, მეორისა და მესამეთა დეიდაშვილი და უკანასკნელის ნათლული, მე-5 კლასის მოწაფე

ელისაბედ (ლიზა) ანდრიას ასული გაწერელია.

გამოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან კალოუბნის ეკლესიაში დღეს, საღამოს. პანაშვიდი 8 ს. დასაფლავება ხვალ, 15 თებერვალს, წმ. ნინოს სასაფლაოზე. 190

გამოცემა კნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა

ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები

სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.

გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა და აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:

ს. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა“; **ნ. დუბროვსკის**—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი“; **ექ. თაყაიშვილი**—„ხელთნაწერების მიმოხილვა“; **ი. მეუნარგიას**—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა“; **გრ. რობაქიძის**—„ნიკო ბარათაშვილი“; **დ. უზნაძის**—„პოეტის სული“.

გარდა ამისა თითოეულს ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიული ბიბლიოგრაფიული განმარტება.

წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტის სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.

სარედაქციო კომისიაში მონაწილეობას იღებენ: კ. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ი. გედევანიშვილი, გრ. დიასამიძე, გ. ვეზირიშვილი, ნ. ერისთავი, გ. ლასხიშვილი, ი. ნიკოლაძე, გ. ქურული, დ. შევარდნაძე, ს. ფირცხალავა.

წიგნის ფასი ხელის მოწერით სამ მანეთ-ნახევარია (3—50). სამსი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება ხუთი მან.

წიგნი გამოვა 1917 წლის აპრილში

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში წ. კ. საზოგადოების მაღაზიაში და „**სახალხო ფურცლის**“ კანტორაში, **ქუთაისში** ის. კვიცარიძესთან, ისს. ბაქრაძესთან, პ. ყიფიანთან, **ბათომში** სიმ. მდივანთან და კოტე ქობახიძესთან, **ფოთში** ლ. ჯაფარიძესთან და ალ. მდივანთან, **სამტრედიაში** ის. სტურუასთან, **ხონში** მოს. ჭელიძესთან, **სოხუმში** პლ. გელოვანთან, **ოზურგეთში** ალ. მხეიძესთან, **ჭიათურაში** თ. ჯაფარიძესთან, **სამხერეში** ანეტა იურკევიჩთან, **ზუგდიდში** მიხ. მდივანთან, **თელავში** ივ. პაატაშვილთან, **ბაქოში** ილია აგლაძესთან, **გორში** სიმონ მაჭავარიანთან.

ფოსტით გამოწერა შეიძლება ამ ადრესით: ტფილისი „სახალხო ფურცელი“. 1419

ექიმი ქალი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის თვალთა სამკურნალოსი.
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1½—3½ საათამდე, კვირა დღის გარდა. სურგუევის ქუჩა, № 1. ტელეფონი, № 16—67 9140

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 171.

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. კოროლენკოვის ქ. № 6.

ექიმი
მ. დ. წინამძღვარიშვილი
ყოფილი ორდინატორი თერაპევტიული კლინიკებისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტისა. შინაგანი სნეულებანი. **გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად.** იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ., № 36, მეორე სართული. 1061

ექიმი
ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს ახალ ბინაზე, საღამოს 6—7 საათამდე, კვირა დღის გარდა.
ვერის მოედანი, ექიმი სობესტიანსკის სახლი. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. ტელეფონი 5—54. 1144

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფს საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიშვილისა. ტელეფ. 5—77. 1059

ექიმი
კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა ქსენიევის ქუჩა № 4. სასტუმრო ვეტცელის გვერდით ტელეფ. 15—00. 1271

ექიმი
გ. გ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე საღ. 5½ ს.-დან 8 ს.-მდე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. 16—17. 457

ქუთაისში
ექიმი
მ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9—1 ს., საღამოს 5—8 ს. ტფილისის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. 105

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 კირპიჩნი ქუჩის შესახვევის 21.

ექიმმა
ფავლენიშვილმა
განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე მუხრანის და ბაგრატიონის ქუჩისა № 23/31.

საექიმო კაბინეტი ექიმ
პ. ს. ფონ-ირტელისა
სპეციალისტი ქირურ., საშარდე-საშვილ., სიფილისის, ვენერიული და კანის (გასივება, ბუასილი, უკაცობა, შედეგი ონანიზ. და სიფილ., თირკმელების ავადმყ.), წამლობა სიფლისისა ერლიხის პრეპარ. „914“ და „606“ და ელექტრონით. ორივე სქესის ავადმყოფებს იღებს 9—12 ს. და საღ. 4—8 ს. მიხეილის ქ. 128 შესახ. კრილ. ქ. 1, მეორე კარი. 1352

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1060

ექიმი
თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი კიროჩნი ქ. 18. 1391

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის
დოქტორი
გ. გ. მეჭრაბიანცი
შინაგან ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. ახალ რენტგენ-ელექტრ. კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, აგრედვე ყოველგვარი ფიზიოთერაპიით და ელექტრონით. თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი სოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, არტერიოსკლეროზის, თირკმლების და ღვიძლის სნეულებ. სისხლის ნაკლებობისა, უძილობისა, ხერხემლისა სისუსტის, ასთმისა, ბუასილის და რევმატიზმის დროს. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 9—1 ს.-დე და საღ. 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელეფ. № 7—92. 263

ტფილისი, 14 თებერვალი, 1917 წ.

ტფილისის ყვითელი კოოპერატივები

ადგილობრივ გაზეთებში ტფილისის კოოპერატივების ცხოვრების ფრიად სამწუხარო ამბავი იყო აღნუსხული. ხსენებული ამბავი ისე სიმპტომატიური და დამახასიათებელია ადგილობრივ კოოპერატივთა ურთიერთობის, მას ისე დიდი ნაყოფის მოტანა შეუძლია, რომ თუ ეხლავე სათანადო ზომები არ იქმნა მის წინააღმდეგ მიღებული, შესაძლოა კოოპერატივებს კრიტიკული დრო დაუდგეთ.

ტფილისისათვის დღემდე თვრამეტი კოოპერატივია დამტკიცებული. ძველებს კიდევ ემატება ახალი, ხოლო მოქმედება გაუჩაღებია ცამეტ კოოპერატივს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საფრანგეთის ქალაქებში თხუთმეტი წლის წინადაც გაცილებით მეტი კოოპერატივი არსებობდა—ლიონში 59, კრეზოში—21, რუბეში—16 და სხ., არ გაგვიკვირდება, რომ ომის დროს, სადაც ნახევარი მილიონი სული სცხოვრობს, ცამეტი კოოპერატივი იყოს დაარსებული. პეტროგრადში ასზე მეტი კოოპერატივია გახსნილი ორ მილიონ სულისათვის.

რიცხვით სრულიად არ არის ბევრი ტფილისის კოოპერაცია, მაგრამ მათ შორის შრომის, დარგის და ხელობის განაწილების აზრია ყრუდ დატოვებული. ის კი არა, საალებ-მისაცემო ადგილებიც არ არიან შერჩეულნი და კოოპერატივთა შექუჩებას ვამჩნევთ. ეს წვრილმანი გარემოებანი ბევრ რამეს გვეუბნებიან კოოპერატივების მოღვაწეობა - მიმართულების შესასწავლად. მათ შორის რაციონალური, გულწრფელი და კოოპერატიული განწყობილება არ არსებობს და ყველა ისე მოქმედობს, როგორც მოეპრიანება. რაკი კოოპერატიულ მოძღვრების საფუძველი—სოლიდარობა —დარღვეულია, წვრილმანი სხვაობაც ცხადდება და ურთ-ერთის ხელის შეწყობის ნაცვლად მეტოქეობა ჩნდება. „მოხელეთა კოოპერატივმა“ მიითვისა რეკვიზიციით „ტფილისის კოოპერატივის“ ერთი ვაგონი საქონელი და მით ერთმა კოოპერატივმა მეორეს ათასი მანეთი აზარალა“,—აი გაზეთის გადმოცემული ამბავი.

კოოპერაციას ძალიან დიდი მტერი ჰყავს საზოგადოებაში—მევახშენი, ვაჭარნი, დალალნი და მრეწველნი. ასეთი მტერნი კოოპერაციას არ აშინებენ, ამათ წინააღმდეგ არსდება კოოპერატივი და იგი სძლევს პირველს. მაგრამ კოოპერაცია ვერ იტანს საშინაო განხეთქილებას, კოოპერატიულ სულის დარღვევას. საკოოპერაციო კავშირის და ყოველ ნამდვილ კოოპერატისტის მოვალეობაა კოოპერატივთა ცხოვრებაში მთლიან აზროვნების და მოღვაწეობის აზრი განამტკიცოს. ამ მხრივ საშინელ სურათს წარმოგვიდგენს ტფილისის კოოპერატივები. ამათ შორის კოოპერატიზმის ნატამალიც არ არსებობს, ღრმა და ფართო ფარული მეტოქეობა არსებობს მათ შორის, ერთმანეთს ართმევენ არა მხოლოდ საქონელს, ერთმანეთს აწბილებენ და აძაგებენ კიდეც. გახურებული მეტოქეობაა საქონლის იაფად გაყიდვის დროს, მეტოქეობაა ყიდვაში, შენობის დაქირავებაში, ნიხრის დადებაში და სხვ. ასეთი ყოვლად შეუწყნარებელი მოვლენა თუ დროზე არ იქმნა აღკვეთილი უდიდეს, სახალხო-საზოგადოებრივ საქმეს საფუძველი ჩაეშლება და კოოპერაცია ჰაერში გამოეკიდება.

მართალია სასურველი მთლიანობა და სოლიდარობა ტფილისის კოოპერატივთა შორის არასოდეს ყოფილა, მაგრამ კოოპერატიულ ეთიკეტის პატივისცემა მაინცა გვქონდა, ვერიდებოდით ერთმანეთს და ცდა იყო გაგებისა და პატივისცემისა. ეხლა კი საკოოპერაციო სხვაობის და უპირატესობის ხანაში შევედით. იბადებიან წარჩინებულთა და დაწინაურებულთა კოოპერატივები და ისინი თავიანთ გავლენით ფიქრობენ განსაკუთრებით სასარგებლო ეკონომიურ კონიუნქტურის შექმნას. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა ტფილისის ძველ კოოპერატივებს—„მეურნეს“, ან „აღორძინებას“ ვისიმე საქონელი მიეთვისებინოს და პრივილეგიების შემწეობით გაეჩაღებინოს—სხვისთვის საზარალო—საკუთარი საქმე. ამ საქმეში დიდ ფხასა და უნარს სწორედ ახალი კოოპერატივები იჩენენ, და ზევით მოყვანილი ამბავიც „მოხელეთა კოოპერატივს“ ეხება. ჩვენ კონკრეტიული ცნობები გვაქვს, რომ „პოლიციელთა კოოპერატივი“ და „ოფიცერთა საზოგადოება“ რეკვიზიციის საქონელს იგდებენ ხელთ და გაცილებით იაფადაც ჰყიდიან საქონელს, ვიდრე ნიხრი, ან ბაზრის ნორმალური კონიუნქტურა მოითხოვს.

ტფილისის კოოპერატივების რწმუნებულთა თათბირზე „მოხელეთა კოოპერატივის“ დელეგატი ირწმუნებოდა, ჩვენ ნამდვილი მოძმენი ვართ დანარჩენ კოოპერატივთა, ნამდვილი პროლეტარები ვართ მდგომარეობით, რომელნიც ქარხნის პროლეტარებიდან ფოლაქებით განსხვავდებითო. პრაქტიკულ ცხოვრებაში „ფოლაქიან პროლეტარებს“ ძალიან მალე დაავიწყდათ კოოპერაციის და ამხანაგობის მოვალეობანი და ყველა მათგანის მუშაობას აბსოლუტურად შეუწყნარებლობის ხასიათი მიეცა.

ამნაირად, ტფილისში დაიბადა კოოპერაციის ახალი ტიპი. ამისთანა კოოპერატივების ალაგმვა დემოკრატიულ კოოპერაციის აუცილებელი და უპირველესი მოვალეობაა. კოოპერატიულ მთლიანობის აზრი სახელმძღვანელო აზრად უნდა გაიხადოს ყველა კოოპერატორმა, ხოლო ტფილისის კოოპერატივთა საერთო კრება-სექციამ და ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო საბჭომ იზრუნონ, რომ დაწესებულ იქმნას ყველა კოოპერატივისათვის სავალდებულო ერთნაირი წესი მოღვაწეობისა: 1. საქონლის გაყიდვა კოოპერატიულ ნიხრის მიხედვით, 2. საქონლის ყიდვა მხოლოდ და მხოლოდ კოოპერატიულ მყიდველ ბიუროს შემწეობით და 3. რეკვიზიციით მიღებულ საქონლის ყველა კოოპერატივებში დარიგება. ამ დებულებათა დაცვა და მათი გაშლა როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ ფარგლების მიხედვით—კოოპერატივების მიზანს უნდა შეადგენდეს.

განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ რეკვიზიციით მიღებულ საქონელს. როგორც ირკვევა, ამ გზით დიდძალ საქონელს იღებენ „ფოლაქიან პროლეტართა“ კოოპერატივები და იაფადაც ურიგებენ ქალაქის „ფოლაქიან პროლეტარებს“. შეუწყნარებელია, რომ სიძვირის დროს საზოგადოების ერთ ნაწილს მიეცეს ასეთი უპირატესობანი. პირველ მოთხოვნილების საგნების ნამდვილი სიმშილია მთელს რუსეთში, ბარათების წესია შემოღებული შაქარზე, პურზე, ხორცზე და და სხვა უმთავრეს მოთხოვნილების სანოვაგეზე, ტფილისის „ფოლაქიან პროლეტარების“ კოოპერატივთათვის კი არც ნორმა არსებობს, არ ნიხრი და თითქმის საჭიროზე მეტ სანოვაგეს აწვდიან თავის წევრებს, რომელნიც ამავე დროს სხვა და სხვა კოოპერატივებითაც სარგებლობენ.

ეს საქმე ეხება არა მარტო კოოპერატივებს, მთელ საზოგადოებასაც და საჭიროა საზოგადოებრივი აზრი გარკვეულად იყოს გამოცხადებული. საშუალება არ უნდა იყოს საზოგადოების ერთი ნაწილი სცურაობდეს კმაყოფილების და დოვლათის წიაღში, როცა მცხოვრებთა უმრავლესობას წყურვილი და სიმშილი ვერ მოუკლავს.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

„რუსკაია ვოლიას“ № 35 დაბეჭდილია წერილი მეორე სათათბიროს სოციალ-დემოკრატ დეპუტატის გ. ა. ლექსინსკის წერილი: „რუსეთის სიყვარულის შესახებ“. ავტორი, სხვათა შორის, ამბობს:

მე ყოველთვის მიყვარდა რუსეთი, მაგრამ მხოლოდ ეხლა, ამ ხანგრძლივ ომის დროს მივხვდი, თუ რას ნიშნავს ადამიანისათვის თავისი სამშობლო და ხალხი. და მხოლოდ ეხლა შევიგნე სავსებით თუ რა დიდი სიცრუე და სიყალბეა მტკიცება, თითქოს ჩვენ, სოციალისტებს, სამშობლო არ გვქონდეს. ტყუილია ეს! გვაქვს სამშობლო, გვაქვს! და თუ ვისმე სამშობლო არა აქვს ეს სწორედ ჩვენ მოწინააღმდეგე ხალხსა.

მე არ ვიტყვი კარამზინისებურად, „ჭეშმარიტი კოსმოპოლიტი მეტაფიზიკური არსებაა“, რადგან თქვენ შეგიძლიანთ შეხვდეთ ხალხს, რომელთათვისაც მართლაც სამშობლოს მცნება უცხოა. მაგრამ ვინ არიან ესენი? საერთაშორისო ბირჟის მაკლერი, რომლისათვისაც სულ ერთია სად გაჩარხავს საქმეებს—პარიზის თუ ნიუიორკის ბირჟაზე. კოკოტკა, რომელიც მშვენივრად გრძნობს თავს ყველა საერთაშორისო „კაზინოსა“ და სხვა შესაფერ ადგილებში. დიაღ, არიან ადამიანები, რომელთა შესახებ არის ნათქვამი ლათინური ანდაზა: „სადაც კარგადა ვარ, იქაა ჩემი სამშობლო“. მაგრამ ესენი ხომ საზოგადოების საუკეთესო ელემენტები კი არა, არამედ ყველაზე ეგოისტური, ვიტყვი ყველაზე ანტისოციალური ელემენტებია, რომელთა ინტერესი მხოლოდ და მხოლოდ პირადი სარგებლობაა.

ომის გარშემო

ომის დღიური

მგონია გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ვილსონი თავის მუქარას არ განახორციელებს და აქტიურად ომში არ ჩაერევა. მექსიკის ამბებს ეხლა კუნძულ კუბას ამბებიც დაემატა და იქ რევოლუცია მზადდება. შეიძლება გარდა ამისა ვილსონის პოლიტიკაზე გავლენა იქონია აგრეთვე იაპონიის განსაკუთრებულ უფლებების შორეულ აღმოსავლეთში ოთხთა შეთანხმების მიერ აღიარებამ. ყოველ შემთხვევაში ცხადია აგრეთვე რომ გერმანია არ აპირებს ბლოკადის მოხსნას და წყალქვეშ ბრძოლაზე ხელის აღებას. გუშინდელი და გუშინწინდელი დეპეშა გვაუწყებს, რომ ჩაძირულია დაახლოვებით 15 გემამდე და მათ შორის საფრანგეთის დიდი ტრანსპორტი, რომელსაც მოჰყავდა სენეგალების მსროლელთა ჯარი საფრანგეთში.

ხმელეთით, მხოლოდ იტალიის ასპარეზით განცხოველდა ოპერაციები და ინგლისელების ჯარი კიდე ადგილობრივ ხასიათის ოპერაციებს აწარმოებს ჩრდილოეთ საფრანგეთში.

გე—გა—ლი.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 11 თებერვალი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის, რუმინიის და კავკასიის ბრძოლის პირებით ჩვეულებრივი სროლა და მცირე რაზმების შეტაკებაა.

პეტროგრადი, 12 თებერვალი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. სემენკილეშჩენიატის რაიონში (ვიშნევის ტბის სამხრეთით) მოპირდაპირემ მოშხამული გაზი გამოუშვა, მაგრამ ჩვენამდე ვერ მოაღწია, რადგანაც ქარი შებრუნდა და გაზი მოპირდაპირესაკენ გადაყარა.

რუმინიის ბრძოლის პირი. მხოლოდ სროლაა.

კავკასიის ბრძოლის პირი. ოსმალთა რაზმმა ერთი როტის ოდენამ შეტევა იწყო პეტარა-კალეს სამხრეთით ჩვენს დარაჯებზე, მაგრამ სროლით მოვიგერიეთ.

მფრინავთა თარეში. ბარანოვიჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოპირდაპირის ჰაეროპლანს სროლა აუტეხეთ, იგი ჰაერში რამდენჯერმე გადატრიალდა და მოპირდაპირის პოზიციაზე დაეცა.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი, 10 თებერვალი. ცნობა დღისით. ორჯელ უეცრივ დავეცით მოპირდაპირის თხრილებს, ერთხელ მალანკურის ტყის სამხრეთ-დასავლეთით და მეორედ მულიის აღმოსავლეთით. მაასის მაღლობებზე დავატყვევეთ 200-მდე. დანარჩენ ბრძოლის პირით ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.

პარიზი. 10 თებერვალი. ცნობა საღამოთი. ლორენში, ალზასში და შამპანში არტილერიის ბრძოლაა. ჩვენი არტილერიის სროლით გერმანელების პოზიციებს ცეცხლი მოუკიდეთ მენილის მაღლობთან. მოვიგერიეთ ორი შეტევა სუასონის აღმოსაელეთით და ბეზანვოსთან.

სტოკჰოლმი. 10 თებერვალი. ბერლინიდან იუწყებიან, რომ რეიხსტაგმა მიიღო საბოლოოდ სამხედრო კრედიტი 15 მილიარდი მარკა. კრედიტს ყველამ მხარი დაუჭირა, გარდა სოციალ-დემოკრატიის უმცირესობისამ.

ლონდონი, 11 თებერვალი. ცნობა 10 თებერვალს საღამოთი. გედეკურის ჩრდილოეთით გუშინღამ გავაუმჯობესეთ ჩვენი პოზიცია, გერმანელებს თხრილი წავართვით, აგრედვე ერთი ზარბაზანი და 30 მეტი ტყვე. მირიმონის სამხრეთით გერმანელების სადარაჯო დავიპყარით. გუშინ საღამოს სუშეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მარჯვედ გავილაშქრეთ, მრავალი დავატყვევეთ და მოპირდაპირეს სანგრეები დაუნგრიეთ. დღეს გათენებისას არმანტიერის სამხრეთით, პლეგსტრეტის ტყის მახლობლად, მოვიგერიეთ გერმანელების მოულოდნელი შეტევა, ზარალი მივაყენეთ და რამდენიმე გერმანელი, რომელნიც ჩვენს თხრილში შემოიჭრნენ, დავატყვევეთ. სომაზე, არასის სამხრეთით გერმანიის არტილერია მხნედ მოქმედობდა. იპრის სამხრეთით მარჯვედ უშენდით მოპირდაპირის თხრილებს.

პარიზი, 11 თებერვალი. ოფიციალური. გუშინ საღამოს ერთი ჩვენი რაზმი შეიჭრა მოპირდაპირის პოზიციაზე სენონის ჩრდილოეთით, ვოგეზში. დღეს დილით არტილერიის მკაცრი სროლის შემდეგ გერმანელები ამაოდ ცდილობდნენ იერიშის მოტანას ჩვენ თხრილებზე ვისენბახთან. დანარჩენ ბრძოლის პირით ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.

პარიზი, 11 თებერვალი. ცნობა საღამოთი. მთელი ბრძოლის პირით არტილერიის ჩვეულებრივი სროლაა. მხოლოდ გერმანელებმა ორჯელ უნაყოფოთ იერიში მოიტანეს ჩვენს თხრილებზე ვიოლოში. ალზასში ქვეითა ჯარს სრულებით არ უმოქმედია.

ლონდონი, 11 თებერვალი. ოფიციალური. ჩვენი შეტევის გამო გერმანიის ჯარმა დასტოვა მნიშვნელოვანი პოზიცია ანკრის ორივე ნაპირებით. მორგონის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით შევიჭერით პტი-მირმონში და სერეს სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ხაზი წინ წავწიეთ 1-ნეხევარ მილის სიგრძით. მეორეს მხრით გერმანელებმა ღამით ჩვენი სადარაჯო დაიპყრეს, მაგრამ უმალ კონტრიერიშით მოვიგერიეთ. ღამით და დღისით არტილერიის დროგამოშვებითი სროლა სწარმოებდა სომას ორივე ნაპირით, არასის სამხრეთ-დასავლეთით და იპრის სამხრეთით.

პარიზი, 12 თებერვალი. ცნობა დღისით. ღამით ჩვენმა მზვერავებმა ორჯელ მხნე იერიში მიიტანეს მოპირდაპირის დარაჯებზე აპრემონის ტყეში და ბადონვილიერის ჩრდილოეთით. დანარჩენ ბრძოლის პირით არტილერიის დროგამოშვებით სროლაა.

იტალიის ასპარეზი.

რომი. 10 თებერვალი. ოფიციალური. მოპირდაპირის შეტევამ ცუნიაში, ადიჟეს ველით, სტრანიოს და სპერას შუა, სუგანოს ველით, მონტე-კადინეს კალთებით და გოიტეს ველით უნაყოფოდ ჩაიარა, ჩვენა ჯარის სიფხიზლის და მამაცობის გამო. კოლდილანის რაიონში მოპირდაპირის რაზმმა მოულოდნელად დაიპყრა ერთი ჩვენი მოწინავე სადარაჯო, მაგრამ უმალ კონტრ-იერიშით უკან დავახევინეთ. რამდენიმე კაცი დავატყვევეთ.

გემების დაღუპვა.

პარიზი. 10 თებერვალი. საზღვაო სამინისტრო იუწყება: საფოსტო მატარებელი „ატოსი“, რომელიც ჩინეთისკენ მოგზაურობდა და ეხლა საფრანგეთში სენეგალი მსროლელთა ჯარი მოჰყავნდა ხმელთა შუა ზღვაში მოპირდაპირის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა. გემს იცავდნენ ორი ნაღმოსანი „მამელიუკი“ და „არსენანრი“. ამ ნაღმოსნებმა მოსულ ნავის საშუალებით 1450 კაცი გადაარჩინეს. მალტიდან მოსული დეპეშები ქებით იხსენიებენ სენეგალ მსროლელთა ვაჟკაცობას კატასტროფის დროს.

პარიზი, 10 თებერვალი. დაღუპულ გემთა სია 10 თებერვალს გამოცხადებული: ინგლისის იალქნიანი გემი „ინვერკულდი“ 1416 ტონა წყალტევისა, ნორვეგიის იალქნიანი გემი „ბლენკეინი“ — 1144 წყალტევისა, ფრანგების იალქნიანი გემი „სენ სოვერი“—58 ტონისა, ნორვეგიის გემი „აიაქსო“—1468 ტონისა და ინგლისის გემი „ბელხიერი“—4588 ტონა წყალტევისა.

პარიზი. 11 თებერვალი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ 9—10 თებერვალს ჩაუძირავთ ერთი ბელგიელების, ერთი ნორვეგიის, ორი ჰოლანდიის და ინგლისის ოთხი გემი.

მესოპოტამიაში.

ლონდონი, 11 თებერვალი. ოფიციალური. მდ. დახრის უბის დაპყრობის შემდეგ იერიში სანაიატზე მივიტანეთ, ტიგროსის მარცხენა ნაპირით, კუტელამარას აღმოსავლეთით. 4 თებერვალს ჩვენი იერიში მარცხით დამთავრდა და ამის შემდეგ მუდამდღე სისტემატიურად უშენდით ყუმბარას მოპირდაპირის პოზიციებს. 9 თებერვალს კვლავ იერიში მივიტანეთ და მოპირდაპირის პოზიციის სამხრეთი ნაწილი დავიპყარით და გავმაგრდით; ბრძოლა ჯერ კიდევ სწარმოებს. დიდი წვიმების გამო ტიგროსი ადიდდა და ხელს უშლის სამხედრო მოქმედებას; გვიჭირს აგრეთვე სურსათის მიწოდება იმ ჯარისათვის, რომელიც მდინარის მარცხენა ნაპირით მოქმედობს.

ამერიკაში.

ნიუ-იორკი. 11 თებერვალი. ვილსონი აყოვნებს აქტიურ გამოსვლას. იმედი აქვს გერმანია გონს მოვა და ბლოკადაზე ხელს აიღებს. მაგრამ ბერლინი თითქოს ეთამაშება ამერიკას და ხან ულვიძებს იმედს, ხან კი უქარწყლებს. პრესა ვილსონის უმოქმედობით დაღონებულია. პაციფისტები ბრაიანის მეთაურობით სარგებლობენ მდგომარეობით და პროპაგანდას ეწევიან ომის წინააღმდეგ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რეპინგტონის აზრი.

ცნობილი ინგლისელი სპეციალისტი რეპინგტონი სწერს, რომ დასავლეთის ასპარეზზე გერმანელებს დაახლოვებით 166 დივიზია ჰყავთ. მართალია ეს დივიზიები წინანდელებსავით კარგად შეიარაღებულნი და მომზადებულნი არ არიან, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდს ძალას წარმოადგენენ. რეპინგტონის სატყვით არ უნდა დავივიწყოთ, რომ გერმანიის მთავარი შტაბი ხელმძღვანელობს შლენდორფის თეორიით. შლენდორფის დებულებით, ზოგიერთ პირობებში ზღვის ნაწილში გაბატონება ცოტა ხნით მაინც, თუ კი ამასთან დაკავშირებულია ჯარის გადასხმა, შეიძლება მსხვერპლად მთელი ფლოტი შეეწიროს. ამიტომ რეპინგტონი ფიქრობს, რომ გერმანიის ფლოტი აქტიურს მოქმედებას დაიწყებს. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ სამხედრო მოქმედებას მეთაურობს ჰინდენბურგი.

გემების შეჩერება.

კოპენჰაგენიდან „რუსკია ვედომოსტი“-ს ატყობინებენ: „ბერლანერ ლოკალ ანცეიგერის ცნობით, ამერიკის ორმა გემმა რომელიც ბორდოს წასვლისათვის იყვნენ გამზადებულნი, ზღვაში გასვლა სხვა დროისთვის გადასდვეს.

სავაჭრო გემების შეიარაღება.

„ფრანკფურტეს ცაიტინგ“-ს ნიუ-იორკიდან ატყობინებენ: სანაოსნო ამხანაგობანი თავის სავაჭრო გემების შეიარაღებას შეუდგნენ. ამერიკის მთავრობის აზრით ეს კიდევ არ ჩაითვლება გერმანიისადმი მტრულ აქტად.

იტალიის ასპარეზი.

გაზ. „რეჩ“-ის სამხედრო მიმომხილველის აზრით, იტალიის ასპარეზით მოსალოდნელია სულ ახლო მომავალში ფართო ოპერაციები. გავიგებთ რა დაუმზადა ჰინდენბურგმა „მოღალატე“ მოკავშირეებს.

ავსტრია-უნგრეთის და შეერთებულ შტატების შორის მოლაპარაკების შეწყვეტა.

„ბერლინერ ტაგბლატ“-ის ცნობით კაიზერის ვენიდან წასვლის უმალ შესწყდა ავსტრია-უნგრეთსა და შეერთებულ შტატების შორის გამართული მოლაპარაკება. კონფლიქტის მშვიდობიანად დამთავრების იმედი თითქმის გაქრა და ომი არცილებელია, თუ ამერიკა თავის სავაჭრო გემებს შეიარაღებს.

ვილჰელმის ბრძანება.

ვოლფის სააგენტო გადმოგვცემს ვილჰელმის ბრძანებას ფლოტის მიმართ. მომავალ გადამწყვეტ ბრძოლაში, ნათქვამია ბრძანებაში, ჩემმა ფლოტმა ინგლისის მიერ გამოგონილ საშუალება, მოპირდაპირის ბლოკადით დაუძლურება, ინგლისისავე წინააღმდეგ უნდა იხმაროს და მას და მის მოკავშირეებს საზღვაო გზები ჩაუკეტოს პირველ ყოვლისა წყალქვეშა ნავებით. იმედი მაქვს, რომ ეს ახალი იარაღი სხვასთან ერთად მოუსპობს მოპირდაპირეს ომის ჟინს.

ჰოლანდიაში.

კოპენჰაგენიდან „ბირჟ. ვედ“-ის ატყობინებენ, რომ „ბერლინგსკე ტიდენდეს“ ცნობით პარლამენტის საიდუმლო კომისია განუწყვეტლივ თათბირობს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე, თათბირში მონაწილეობს ყველა მინისტრი. ჰოლანდიის მთავრობას საშიში ცნობები მიუღია და ამიტომ იგი მოითხოვს სამხედრო საქმეებისათვის 127 მილიონ ფლორინს.

ჰინდენბურგის სამზადისი დასავლეთის ასპარეზით.

კოპენჰაგენიდან „ბირჟ. ვედ.“-ის ატყობინებენ: ბელგიიდან მოსულ ცნობით ფელდმარშალი ჰინდენბურგი ამ ჟამად ბელგიის სოფელ ვაარშოოტში იმყოფება და აქედან ამზადებს დიდს შეტევას, რათა დაასწროს ფრანგ-ინგლისელების ჯარის ფართო შეტევას. ამბობენ ვითომ შეტევისათვის არჩეულია მდ. იზერის რაიონი.

ჰალიპოლის ოპერაციის გამომძიებელი კომისია.

ლონდონიდან „ბირჟ. ვედ.“-ის ატყობინებენ: ხმა დადის, რომ ამ დღეებში გამოაქვეყნებენ განსაკუთრებულ კომისიის მოხსენებას ჰალიპოლის ოპერაციის წარმოების შესახებ. კომისიის უმცირესობას მოხსენებაში განსაკუთრებული აზრი შეუტანია.

ავსტრია-უნგრეთის ჯარის ახალი მთავარ სარდალი.

ლონდონიდან „ბირჟ. ვედ.“-ის ატყობინებენ, რომ რომიდან ცნობები მოდის, იტალიის ასპარეზით მოქმედება განცხოველდა. ავსტრია-უნგრელებმა განაახლეს იერიშები, ჯარი მეტად გააძლიერეს და მრავალ ყუმბარას ხმარობენ.

იტალიის სამხედრო წრეებში ცნობა მიუღიათ, რომ იტალიის ასპარეზით ავსტრია-უნგრეთის ჯარის მთავარ სარდლად დაინიშნება გენერალურ შტაბის უფროსი კონრად ფონგეტცენდორფი.

ახალი ამბავი

◆ **შეღავათი გაზეთის თანამშრომელთა** შეიწყნარეს კავკასიის მეფის მოადგილის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სამხედრო სამსახურში გაწვევის დროს შეღავათი მიეცეს ორ-ორს თანამშრომელს იმ ყოველ-დღიურ გაზეთებისას, რომელიც ომამდეც გამოდიოდა და ეხლა 5,000 ცალზე ნაკლები არ იბეჭდება.

◆ **სკოლის გარეშე განათლების საზოგადოება** დღეს სამოსწავლო ინსტიტუტის შენობაში ჰმართავს ლექციას. ქალთა უმაღლეს კურსების ლექტორი ლ. შიშკოვი წაიკითხავს ლექციას „წმინდა ხელოვნების პოეზია. ბოდლერი. პარნასელები.“ ხუთშაბათს მე-2 გიმნაზიის მასწავლებელი ა. როზოვი წაიკითხავს ლექციას პოეტ ნეკრასოვზე. დასაწყისი 8 საათზე.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების საღამომ** ახალ კლუბში 11 თებერვალს დიდის ზეიმით ჩაიარა და დიდძალი ხალხიც მიიზიდა. საღამოს შემოსავალი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი.

◆ **სომეხ მხატვართა ნახატების გამოფენა** დასრულდა. 12 თებერვალს მხატვართა პატივსაცემლად ბანკეტი გაიმართა, რომლის დროსაც ფული იქმნა შეგროვილი მხატვართა საზოგადოების სასარგებლოდ. სახელდობრ შესწირეს: ა, ს. მელიქოვმა—5,000 მ. სამხატვრო ტაძრის ფონდისთვის, ვაჭართა მამასახლისმა აფრიკიანმა—1000 მან., ენფიანჯიანცმა—100 მ. და სხვ.

◆ **არზრუმის აღების ერთის წლის** თავის აღსანიშნავად, როგოც ვწერდით, ტფ. ქალაქის საბჭომ 10 სტიპენდიის დაარსება გადასწყვიტა. 9 თებერვალს ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი მეფის მოადგილეს წარუდგა და ეს დადგენილება მოახსენა. მეფის მოადგილემ დადგენილება მოიწონა და თანხმობაც განაცხადა, რომ ამ სტიპენდიებს მისი სახელი დაერქვას.

◆ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების** ტფილისის განყოფილების დამფუძნებელი კრება 12 თებერვლისთვის იყო დანიშნული სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის შენობაში. 12 საათისათვის კრებაზე იმდენი ხალხი მოვიდა, რომ ბანკის დარბაზში ტევა აღარ იყო. რადგანაც ასეთს სივიწროვეში შეუძლებელი გახდა საკითხთა განხილვა, ამიტომ კრება მომავალ კვირისთვის გადაიდო და დროებით გამგეობას დაევალა, კრებისთვის უფრო ფართო შენობა იშოვოს სახალხო სახლსა, ან ახალ კლუბში.

◆ **ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზოგადოების ტფილისის განყოფილების** დამფუძნებელი კრებმ გაიმართება კვირას, 19 თებერვალს. წევრად ჩაწერის მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ ყოველ დღე საღამოს 7 ს.-მდე წ. კ. ს. მაღაზიაში ივ. ავალიშვილთან. ვისაც წიგნაკები აქვს წაღებული შაბათამდე უნდა წარმოადგინოს სია, რადგან, როგორც თავმჯდომარემ განაცხადა წინა კრებაზე—კვირას მოხდება მხოლოდ ჩაწერილ წევრთა მიღება და არჩევნები. საზოგადოების ძველ წევრებს, ვისაც კი 1917 წლის გადასახადი შემოტანილა აქვს, არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც ეძლევა.

◆ **ნაფიც ვექილთა შორის.** 11 თებერვალს ნაფიც ვექილთა საბჭოს არჩევნები მოხდა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 180 კაცმა. ამათში იყვნენ: ბაქოს წარმომადგენლები—30, ქუთაისისა—16, კავკავისა—6 და სხვ. საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დასახელებულ იქმნა ორი კანდიდატი სერგი ჯაფარიძე (87 ბარათით) და ისაია დოლუხანოვი (82 ბარათით), რომელთაც ყუთებიც დაიდგეს. მათ ხმები თანასწორად მიიღეს, სახელდობრ 88 თეთრი და 86 შავი კენჭი თითომ, რადგანაც სერგო ჯაფარიძე უფრო ადრეა ჩაწერილი ნაფიც ვექილთა წოდებაში, ამიტომ გადასწყდა, იგი იქმნეს აღიარებული არჩეულად. ამის შემდეგ თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ იქმნა ი. მ. დოლუხანოვი. საბჭოს წევრებად არჩეულ იქმნენ: ტფილისიდან—ბარხუდაროვი, გრ. რცხილაძე, ნიკო ელიავა, ი. ბარათაშვილი, რ. იოანისიანი, მ. ი. გრუზენბერგი, ანდრეევი და სპენდიაროვი; ბაქოდან—ხან-ხოისკი, ვონსოვიჩი და ტერ-გაზაროვი; ქუთაისიდან—ბ-ნი ხელთუფლიშვილი და კავკავიდან—ჩეპელიუგინი. არჩევნების შემდეგ ვექილებმა გადასწყვიტეს, ერთმანეთს შორის ფული შეაგროვონ და ტფ. ქალთა უმაღლეს კურსებზე სტიპენდია დააარსონ.

ზოგი რამ

ერთი ჯურის მწერლებს ქართლის ბედი და მისი მესვეურობა საკუთარ ხელობად გაუხდიათ. თუ ვინმე საქართველოს მკვლევარმა მათებური არა სთქვა, მათებური შუშპარი არა ჰქმნა, მოღალატეა, სამშობლოს სახელის გამტეხი, მშობლიური კულტურის მგმობელი. მოსმენილ-წაკითხულიც რომ არ ჰქონდეთ, ადგებიან მაინც და რისთვისაც ყური მოუკრავთ, იმას სჯერდებიან, რომ ისეთ მკვლევარს დევნა უყონ, მაგრამ რა კი ვერ მისწევიან, გზაში ქარის წისქვილებს ებრძვიან. „საქართველოს“ ზოგიერთ თანამშრომლებს კბილის მატლად დღეს ნიკო მარი გადაჰქცევიათ. რა არის, რა ამბავიაო, იკითხავთ. აი რა.

ბ. მარმა ამას წინად ბაქოში ლექცია წაიკითხა **ვეფხის ტყაოსნის** თაობაზე. ლექტორს აუხსნია თურმე პოემის ავტორის სახელი **შოთა**, მესხეთის და სომხეთის ეთნოგრაფიულ კულტურული ურთიერთობა, რუსთველის მაჰმადიანური თვალთა ხედვა, რომელიც ვეფხის ტყაოსანშია და თვით მისი მაჰმადიანობა, აღუნიშნავს აგრედვე მეთოთხმეტე, თუ მეთხუთმეტე საუკუნე, როცა ვითომ უნდა დაწერილიყვეს ვეფხის ტყაოსანი. ამას აუღელვებია თურმე ხსენებული თანამშრომლები.

ჯერ გამობრძანდა ნაფიცი გამქიქებელი ბ. გვაზავა და განაცხადა, მეთხუთმეტე საუკუნეში თოფის წამალი იცოდნენ და თუ მაშინ სცხოვრობდა რუსთველი. თოფი რად არ მოუხსენებია ვეფხის ტყაოსანშიო? თითქოს შეუძლებელი იყვეს ავტორს ეცხოვრა თოფის წამლის სუკუნეში და, პოემის საგნად აეღო ის ცხოვრება, როცა თოფი არ იხმარებოდა, ან კიდევ თითქოს ანგარიშ გასაწევი არ იყვეს ჰიპოთეზი დ. კარიჭაშვილისა, რომელიც ვეფხის ტყაოსნის ავტორს არა სთვლის მისი წინასიტყვაობის ავტორად.

ბ. გვაზავას მოჰყვა მოსე ჯანაშვილი, რომელმაც შოთა ისტორიულ პირად და მოლაშქრედ გამოიყვანა, ხოლო ვეფხის ტყაოსნის ზღაპარი და ისტორია ერთმანეთში არია, თუმცა კარგად მოეხსენება, რომ სახელი შოთა ვეფხის ტყაოსანში და წინასიტყვაობაში არსად სწერია.

მას უკან გამოვიდა გ. იმნაიშვილი, რომელიც აცხადებს, ვეფხის ტყაოსნის ავტორი ქრისტიანი იყოო, თუმცა იმასაც უნდა მოეხსენებოდეს, რომ არც რუსთველი, არც ვინმე მესხი მელექსე არ ამბობს, რჯულით ქრისტიანი ვარო.

ეხლა იმ ლექციის შემდეგ რომელიც ბ. დ. კასრაძემ ქართული გიმნაზიის დარბაზში წაიკითხა, უნდა ვიფიქროთ, ისიც გამოვა, რომ ნ. მარის წინააღმდეგ ამხედრებას ბანი მისცეს და გვაუწყოს ახალი სიტყვა, სომხეთის ერი, მოსე ქორენელის მოწმობით, ყოველ მხრივ ბოლო-მოღებული კულტურას ვერ შეჰქმნიდა და მარის იაფეტურ ჰიპოთეზს კავკასიის მკვიდრთა შთამომომავლობისთვის ევროპას საბედნიეროდ არ შეუწყნარებიაო.

მე არ გხლებივართ ბაქოში მარის ლექციაზე, მაშასადამე ვერც შევალ მისი ნათქვამის ავკარგის განხილვაში, მაგრამ ქართულ სომხური ფილოლოგიის და ქართველ ტომთა იაფეტიანობის საკითხის წამოყენებისათანავე გულდასმით თვალყურს ვადევნებდი მის გამო მწერლობას და არაფერი მინახავს შიგ ჩვენი კულტურისა, ან სახელის გამტეხი, ან მგმობელი. თუ გნებავთ უფრო გულდასაკლები იყვეს სომხის მამულიშვილთათვის, რადგანაც სომეხთ კოლექტივი ნაყოფია იაფეტიან ქართველ ტომთა (ივერ-ჭან-მესხთა ერთი ნაწილის) შერევისა შემოსეულ არიელ ნადირ ხალხებთან, მაშასადამე უფრო ახალი, ხოლო ქართველთ კოლექტივი უფრო წმინდა იაფეტიანთ მოდგმისაა და უფრო ძველიც. ნ. მარის იაფეტური თეორია ლინგვისტიკის სფეროში მე მიმაჩნია უდიდეს აღმოჩენად, რასაც შეუძლია ჩვენი ერის მოდგმის და კულტურის მაღალი ღირსება ცხად ჰყოფს, რადგანაც მცირე აზიის ისტორია დღევანდლამდის იყო ძველი საბერძნეთის ახალშენთა ისტორია, დღეს კი აშკარა ჰხდება საჭიროება, რომ ბერძნების ისტორიის კვლევა შეფარდებით მოჰხდეს ხეთის და ურხალდუს (მესხეთის და ივერ-ქართუს) მოახალშენე ბერძნები ერთა კულტურასთან-რადგანაც განათლებულ, პოლიტიკურადაც ძლიერ მკვიდრთა გავლენას განიცდიდნენ.

შემდეგ აღსანიშნავია, რომ სომხობა დღევანდელ ეთნოგრაფიულ ჯგუფად არ არსებობდა IX საუკუნემდე ქრისტეს წინ, როცა მუსხები ებრძოდნენ ასურეთს. დასაწყისი სომეხთ-ეთნოგრაფიულ განცალკევებას მიეცა მხოლოდ მას აქეთ, როცა ნადირი არიელი ხალხები, როგორც მაგალითად კიმერები შემოესივნენ ხეთისა და ურ-ხალდუს ქვეყნებს, დაარბიეს. ამ ამბავს ის მოჰყვა, რომ დამპყრობელი და დაპყრობილი ერთ-ერთი თემის, უნდა ვიფიქროთ, ხეთის მიწა-წყალზე აირივნენ ერთმანეთში და ბოლოს განსახიერდა ცალკე ეთნოგრაფიული ჯგუფი, რომელმაც თავის თავს უწოდა **ჰაჲ**, ხოლო ჩვენ გვიწოდებია **მეხი**, რომელსაც **მე** სემიტური თავსართია, ხოლო შემდეგ **სომეხი**, რომლისაც **სო** ისეთივე დამახასიათებელი თავსართია, როგორც **სა** (სოფელი, სპარსი). ამას ამტკიცებს აგრედვე სომხური ენის ერთ-ერთი ძარღვის ნათესაობა ქართულთან, განსაკუთრებით აფხაზურ-სვანურ-ჭანურ-მეგრულთან. თუბალკაინი (ივერ-ჭანი), რომლისაგანაც წარმომდგარან დღევანდელი აფხაზეთის, სვანეთისა და ჭანეთის მკვიდრნი, ბინადრობდა აგრედვე მტკვრის ხეობაში მცხეთიდან მოყოლებულ, მაშასადამე სომხეთის მოსაზღვრე მესხეთშიაც. მაგრამ შემდეგში ქართველთ კულტურას და იმიგრაციას დაქვემდებარებია და გაქართველებულა არა თუ მესხეთი, არამედ იმერეთ-გურიაც. მაშასადამე, სომეხთ ურთიერთობას მესხებთან არა თუ მოდგმა, არამედ მეზობლობაც ჰხატავდა.

ქრისტიანობა ქართლში გავრცელდა თითქმის იმავ ხანში, როგორც სომხეთში, ე. ი. მეოთხე საუკუნეში. მესხეთში, როგორც სომხეთის მოსაზღვრე ქვეყანაში, სომხეთის საეკლესიო კულტურის გავრცელებას ხელს უწყობდა აგრედვე ის გარემოება, რომ სომხეთი იქ ხანდახან პოლიტიკურად ჰბატონობდა და ხალხი ერთმორწმუნე ეგულებოდა.

მეათე საუკუნის ქართულ ხელთნაწერებში მრავალია სომეხთ ეკლესიის წმიდათა ცხოვრების აღწერა. მესხეთის საუკეთესო მონასტრები, როგორც იშხანი, შატბერდი *) და სხვა, ვიდრე ქართველთა მიერ აღდგენამდე, აღშენებული ყოფილა სომეხთ ეკლესიის მოღვაწეთაგან ივერ სომეხთ ეკლესიათა ერთობის დროინდელ ქართველს არ ეთაკილებოდა სომხის ისევე, როგორც ბერძნის ეკლესიის მოღვაწენი თავის განმანათლებლად ჩაეთვალა. ივერიის განმანათლებელი ნინო ჩრდილში იყო მიყენებული და გრიგოლ პართელი, სომეხთ განმანათლებელი უფრო მეტად პატივცემული მაგრამ ივერიისა და სომხეთის ეკლესიათა გაყოფის შემდეგ 606 წლითგან იწყება გაეროვნება ქართველთ ეკლესიისა, ტაოკლარჯეთის ბაგრატუნიანთ მეფობის გაძლიერებისათანავე და სომეხთ მოქალაქობრიობის და საეკლესიო კულტურის ნანგრევებზე მესხეთში აღორძინდება და გაიფურჩქნება ქართლის კულტურა ასე, რომ მესხეთი გადაიქცევა საქართველოსთვის ქართული სწავლა-განათლების და მოქალაქობრიობის აკვნად. გრიგოლ ხანძთელისაგან აღდგენილი დიდებული შატბერდის ლავრაში X საუკუნეში სომხის კი არა ქართველი მოღვაწენი ბრწყინავენ როგორც მაგ. იოანე ბერი, რომელიც სამეცნიერო წერილების კრებულსა სწერს, და მიქელ მოდრეკილი, რომელიც საუკეთესო საეკლესიო საგალობლებს აგროვებს და ამკობს მათ სამუსიკო ნიშნებითა. ივერჭაშური, თუ ქართული ენა იყო სალაპარაკო მესხეთში 606 წლამდე ან სომხური რამდენად იყო გავრცელებული მანამდე, ეს საკითხი გამოსარკვევია, მაგრამ იმ ხელთნაწერებში, რომელიც მოგვითხრობს სომეხთ ეკლესიის წმიდათა ცხოვრებას, ხშირად იპოვება კვალი ივერჭანური და სომხური ენის გავლენისა, მაგ. **მეხმის ჩვენ** (გვ. 7), **განმათავისუფლნა ჩვენ** (გვ. 15), **მაცადე ჩვენ** (გვ. 16), **დამიცვენ ჩვენ** (გვ. 17) **უვარის** მყოფელი (გვ. 38) ბრინკა **აზრაპეტმან** თქვა (გვ. 3), მოავლინა მის წილ **ნახაპეტი** (გვ. 53), მოსლვად **აპარანთა** მათ (გვ. 53), იყო... **ზორვარ** ძალთა ზედა (გვ. 66), (იხ. Матеріалы по грузинской агіографіи по рукописямъ X вѣка съ предисловіемъ издалъ А. Хахановъ). სომხური ენის გავლენის კვალი საერთოდ ქართულშიაც არის, მაგ. **უამრავი** (ჰამარ, რიცხვი), **წალკოტი** (წალკოტ, ყვავილოვანი), **ტერება** (ტერ, ბატონი, უფალი), **ურაკპარაკი** (ჰრაპარაკ, მეიდანი), **იავარ** ქმნა (ავარ, ალაფი, დავლა), **დაბირება** (ბარ, სიტყვა) და სხვა მრავალი.

იმისაგან, რაც მოგახსენეთ, ცხადია, რა ურთიერთობა არის მესხეთსა და სომხეთს შუა, მესხსა და მეხს (სომეხს) შუა *), როგორც ქრისტეს წინანდელის, ისე მის შემდეგი პერიოდისათვის ვიდრე ქართველ სომეხთ სარწმუნოებრივად განცალკევებამდე.

ვეფხის ტყაოსანი დასწერა ვინმე მესხმა მელექსემ, მესხეთის მკვიდრმა და არა დღევანდელმა იმერელმა მესხმა, ან კახელმა მესხიშვილმა. განა შეუძლებელი იყო, ავტორის დროს მესხურ ქართულში ხმარებული ყოფილიყვეს ზოგიერთი სომხური სიტყვა, ძველადგანვე დარჩენილი ზოგჯერ უცვლელად, ზოგჯერ კიდევ ცვლილებით, როცა დღესაც ხმარებაშია ისეთი სიტყვები, როგორც საუბარსა, ისე მწერლობაში?

ბაგრატუნიანები ჯერ სომხეთში გამეფდნენ. მათი დინასტია იწოდებოდა ბაგრატუნი. აშოტ მეტად საპატიო სახელი იყო სომხეთში და ტაოკლარჯეთის (მესხეთის) ბაგრატუნიანთ გვარეულობასაც ძლიერ მოსწონდა ასე, რომ 786—954 წელთა განმავლობაში შვიდნი მეფენი ყოფილან რომელთაც ჰრქმევიათ აშოტ. მაგრამ ეს სახელი გამდაბიურებულა და გამოთქმულა შოთა, რომლისაგანაც დღეს შოთაძის გვარიც კი დარჩენილა და რა გასაკვირველია, ვინმე მესხს მელექსეს შოთა ჰრქმეოდეს, თუ თქმულე-

---

*) იშხანი და შატბერდი სომხური სიტყვებია. პირველი ჰნიშნავს მთავარს, მეორე კი მრავალ ციხესა პ. მ.

*) **სომხის** ნათესაობა **სვანთან** ისევე, როგორც ჭან-აფხაზთან ენის კვლევითაც ჰმტკიცდება, შეუსაბამოა განმარტება მისი, ვითომც **სომეხი** წარმომდგარიყვეს **სვან** (სონ) სიტყვის ძველებური მრავლობითი რიცხვის **სონ—ხი** ფორმისაგან, რადგანაც სომხური **ჰაჲ** ძირითადი სიტყვაა და ქართულად უნდა გამოთქმულიყო ჯერ **ხე** (გაძლ. გელიმგელი), მერმე სემიტური პრეფიქსაციით **მეხი**.

პ. მ.

✦ **განსაჩივრებული ანდერძი.** როგორც ვწერდით, ამას წინად გარდაიცვალა თ-დის ასული ნინო ალექსანდრეს ასული ბეგთაბეგოვი, რომელმაც ქ. ქალაქის თვითმმართველობას უანდერძა მთელი თავისი ქონება, ღირებული ნახევარ მილიონ მანეთად. ეს ანდერძი სასამართლოში გაასაჩივრა განსვენებულის მემკვიდრემ, ტფ. მე-[illegible] საპოლიციო უბნის ბოქაულის თანაშემწემ თ-დმა ალ. გრ. ბეგთაბეგოვმა. საქმის გარჩევა ტფ. ოლქის სასამართლოში დანიშნულია 28 თებერვლისთვის.

✦ **მერძეობის კურსები..** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში მალე იხსნება მერძეობის კურსები 40 კაცისთვის.

✦ **ლტოლვილთა** სასანიტარო-სამედიკო საჭიროების დასაკმაყოფილებლად ლტოლვილთა საქმის გამგე გენერალმა თამამშევმა 250,00 მან. გადასდო კავკასიის ქალაქთა კავშირის განკარგულებაში.

✦ **ხორცის ნიხრის დარღვევისათვის** სამართალში მისცეს არტემ გიორგის ძე ბაღაროვი.

✦ **უეცრად გარდაიცვალა** მეეზოვე გლახა ივანეს ძე გოგლიძე.

✦ **შეიპყრეს** 7 თებერვალს 19 უპასპორტო.

✦ **გარდაცვალება.** 11 თებერვალს ტფილისის სამხედრო ჰოსპიტალში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ სახადით გარდაიცვალა ფერშლის მოწაფე ლაქტიონ ჰუმბურიძე, რასაც აცნობებენ მშობლებს და ნათესავებს განსვენებულის ამხანაგები.

სოფლად და ქალაქად

ბათომი.

✦ ქალაქთა კავშირის კომიტეტის 7 თებერვლის სხდომაზე, ამავე კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგათ აირჩიეს ბ. სიმონ (სოსიკო) გურგენის ძე მდივანი.

✦ ბათომის ქალაქის სასურნათო განყოფილება ამ დღეებში მოელის 83 ვაგონს თეთრს პურის ფქვილს.

✦ აქ თავი იჩინა ქურდ-ბაცაცებმა. დღე ისე არ გაივლის რომ რამდენიმე სახლი არ გაქურდონ. მიაქვთ ყველაფერი რაც კი ხელში მოხვდებათ საქონლის სიავკარგეს არ დაგიდევენ, პოლიციის მიერ მიღებული ზომები ვერას აწყობს.

✦ ზამთრის სათიატრო სეზონი, უკვე დასრულდა, საზაფხულო სეზონის საქმე ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია მიუხედავად იმისა, რომ მსახიობნი უკვე დათანხმდნენ ბათომში მუშაობას.

დ. ცხინვალი.

✦ აქ მომრიგებელ მოსამართლედ დანიშნეს რ. რ. გაგუა, ქართველი კაცი, რაც ასე ესაჭიროება კერძოდ ამ მხარესაც.

✦ „ცხინვალის კოოპერატივი“ ნელ-ნელა მუშაობს, თუმც ვერ ვიტყვით, რომ სასურველ დონეზე იყვეს დაყენებული; ამის გამო აქაურ მოხელეებში დაიბადა აზრი თვისი კოოპერატივის დაარსებისა. ელოდნენ მხოლოდ მოსამართლის მოსვლას; უკანასკნელმა და სამართლიანადაც, უარი განაცხადა მონაწილეობის მიღებაზე. ვისაც შეუძლიან და სურს საქმის ხელის შეწყობა უნდა შევიდეს შიგ და ეცადოს ის ააყვავოს, რაც მიაჩნია ღირსეულად და საზოგადოების სასარგებლოდ; თორემ რას ეგვანება ყველა თავისთვის გავიდეს. რამდენადაც გადმოგვცეს ოსებსაც (აქაურებს) ცალკე გასვლა დაუსახავთ. ვერც ეს აზრია მოსაწონი. კოოპერატივი ისეთი დაწესებულებაა, სადაც სულ ადვილად შეიძლება შეთანხმება და ერთად მუშაობა.

თელავი

✦ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილებამ უკვე წარუდგინა მთავარ გამგეობას 1916 წლის ანგარიში და მოქმედების მოკლე მოხსენება.

1916 წელს შემოსავალი ჰქონია 2379 მან. 97 კაპ. რომლის ნახევარზე მეტი ადგილობრივ შეუკრებავთ. გასავალი 1595 მ, 40 კაპ. ზოგი 1916 წლის ფული, რომელსაც სპეციალური დანიშნულება ჰქონდა განაწილებული. თუმცა ზოგს არ მიუღია. წლიური კრება ამ თვეში მოხდება.

✦ პური კვლავ ნაკლები ცხვება და ისიც ცალიერი მჭადი. ქალაქის მოურავი ტფილისშია წასული ფქვილის საძიებლად. სიღნაღმა ორი ვაგონი ფქვილი დაუთმო, მაგრამ ჯერ არ მოსულა.

✦ თელავში სახადმა თავი იჩინა, ერთი ჯარის-კაცი ჯორბენაძე გახდა ავად, იგი კავკასიის ფრონტიდან მოვიდა და აქ უკვე გარდაიცვალა. საჭირო ზომები იქმნეს მიღებული ამ სენის წინააღმდეგ.

ხ ო ნ ი

✦ შაბათს, 4 თებერვალს, ადგილობრივ კლუბის დარბაზში გაიმართა საქველმოქმედო მიზნით საღამო, რომლის შემოსავალი მოხმარდება ადგილობრივ მარიამის სასწავლებლის ღარიბ მოწაფე ქალებს.

✦ ამ უკანასკნელ ხანებში ხონში ძლიერ ცუდი ამინდი დაიჭირა. ეს ორი დღეაგა ნუწყვეტლივ თოვს.

სოფ. ქარდანახი

✦ 3 თებერვალს საღამოთი უცნობთ გამოუძახნიათ გლეხი ანდრია რამაზიშვილი გარეთ, რა წამს გამოუხედნია კარზე, მაშინვე ორგან დაუჭრიათ ხანჯლით სასიკვდილოდ. ცოლის კივილზე ბოროტ-მოქმედნი მიმალულან. ანდრია კი მაშინვე გადაცვლილა.

✦ არ იქმნა არ მოელო ქურდბაცაცობას ბოლო. თურმე არსებობს მთელი პარტია, რომელიც სისტემატიურად ამტვრევს მარნებს.

✦ 8 თებერვალს, რამდენიმე ახლად გაწვეულნი სამხედრო სამსახურში, ქეიფობდნენ გ. ტაბახმელაშვილის სავაჭროში. იქვე კედელზე კიდებულა თოფი, რომელიც მოქეიფეთ სათითაოდ უშინჯნიათ. სტეფანიანცს თოფი შემთხვევით გავარდნია და მოხვედრია თ. მარტაშვილს, რომელიც იქვე უსულოდ დაცემულა. სტეფანიანცი დააპატიმრეს.

✦ კოოპერატივი „სიმართლე“ ამ მოკლე ხანში დაიწყებს მოქმედებას.

ქ. არზრუმი.

✦ აქ ბ. ა. გორგაძის მეთაურობით დაარსდა ქ. შ. წ.-კ. გ. ს. განყოფილება. უკვე შესდგა ოქმი და ნებართვისთვის გაეგზავნა უმთავრეს გამგეობას დასამტკიცებლად. წევრები დიდის ხალისით ეწერებიან.

DE PROFUNDIS.

პოჭყი... ხავსი... ნარეკალას
ტბის ნაპირი დაუხლართავს
შეხე ჭინკას მაგ ცალ თვალას
ობობის ქსელს როგორ ართავს!
ტლაპ! ხომ ხედავ წყლის სალტეებს
ნაპირისკენ ვით გარბიან?
ჩუ, ვინ არხევს თხემლის ხეებს,
ვინ ატოკებს ასე გვიან?
რა ხანია ქვიშის თოკით
ბებელმა ქარი რაც ალაგმა,
რა ხანია, ნელის ტოკვით.
მზემ აკრიფა სხივთ ქარაგმა.

* *

ტბა შეირხა, ტბა აქაფდა,
გველი წივის, ტბა კაჭაშებს,
შორს ვარსკვლავი აკიაფდა,
გველი ჯადოს ათამაშებს.
ტლაპ! კანკალებს ტბის ლერწამი
ტბის ნარგიზნიც როგორ კრთიან!
საუკუნოდ იქცა წამი,
მეშინიან, მეშინიან...

კ. აბაშისპირელი.

წერილი მოსკოვიდან

როგორც წინა წერილებშიდაც ვწერდით ცნობილ მსახიობის ნ. მესხიშვილის ასულის მეთაურობით 26 იანვარს უნდა გამართულიყო დიდი სალიტერატურო საღამო სტუდენტთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებისა და „ილია ჭავჭავაძის სახელობის“ კულტურული წრის სასარგებლოდ. და მართლაც 26 იანვარს მოსკოვის პოლიტეხნიკურ მუზეუმის უზარ-მაზარ დარბაზში დიდებული საღამო გაიმართა. კონცერტს აუარებელი ხალხი დაესწრო და გარედ კიდევ მრავალი დარჩა უბილეთობისა გამო. საღამოში ბევრი გამოჩენილი რუსის მსახიობები იღებდნენ მონაწილეობას, როგორც მაგალითად—ვ. ი. კაჩალოვი, მაქსიმოვი, ვედრინსკაია, ორდა, იუდინი, დეკარხანოვა, ხენკინი და სხვები. საღამოკონცერტი ფრიად შინაარსიანი გამოდგა. უნდა ვსთქვათ ამასთანავე ისიც, რომ საღამოს ერთგვარად ქართული ელფერიცა ჰქონდა. მაგალითად ცნობილმა საოპერო მომღერალმა ორდამ იმღერა ოთარბეგის არია „ღალატიდან“ და იუჟინმა ერეკლეს არია ისევ „ღალატიდან“. აღტაცებაში მოიყვანა ხალხი საიმპერატორო თეატრის მსახიობმა მაქსიმოვმა, რომელმაც გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოდან“ მელოდეკლამაცია მოაწყო. დაუსრულებელ „ვაშა“-ს და „ბიზ“-ის ძახილს საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ კიდევ უფრო გასაკირველი იყო მსახიობი მაშინ, როცა გასამეორებლად პოეტ ვაჟა-ფშაველას ლექსი წარმოსთქვა. კვლავ „ბრავო“ და „ბიზ“ მსახიობი ხელ-ახლავ გამოვიდა სცენზე და მესამეთ აკაკი წერეთლის ლექსი წაიკითხა. დამსწრე საზოგადოებისა და ქართველთა აღფრთოვანებას საზღვარი არ ქონდა და მადლობის ღირსად პატივცემულ მსახიობს დაუსრულებელი ოვაციის უმართავდა. დიდის ზეიმით შეხვდა აგრეთვე დამსწრე საზოგადოება სამხატვრო თეატრის მსახიობის კაჩალოვის გამოსვლას, რომელმაც ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თითქმის 10 წამის განმავლობაში არ შეწყვეტილა ძლიერი და მხურვალე ტაშის ცემა. აგეთივე დაუსრულებელი ოვაცია იყო პეტროგრადის საიმპერატორო თეატრის მსახიობის ქ-ნი ვედრინსკაიას შეხვედრა, რომელმაც მომხიბლავათ შეასრულა რამოდენიმე მელოდეკლამაცია. და ამ რიგად მიმდინარეობდა საღამო ბოლომდის. საღამოს კონფერანსიე გახლდათ ცნობილი მსახიობი და იუმორისტი ი. დ. იუჟინი, რომელმაც თავისი მოსწრებული და მოხდენილი ხუმრობით ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება. საღამოზე აუქციონით სხვა და სხვა ნივთების გაყიდვაც სწარმოებდა, რომლის დროსაც ერთ ფრიად სასიამოვნო მოვლენას ჰქონდა ადგილი. ერთ-ერთი ნივთის გაყიდვის დროს იუჟინი დამსწრეთა შორის ცალკე კრეფდა ფულს ნივთის გამოსასყიდლად და ამ დროს გამოაცხადა, რამ მაყურებელთა შორის იმყოფება ჩვენთვის ყველასათვის ცნობილი და საყვარელი მსახიობი ლადო მესხიშვილი, რომელიც თანახმაა გადიხადოს ამ ნივთისათვის რამოდენიმე მანეთიო და ამ განცხადებას თვითონ შეხვდა ტაშით, ამ დროს იგრიალა უზარმაზარმა აუდიტორიამ და მთელი საზოგადოება ძვირფას, დღეს უკვე ჭაღარით შემოსილ პიროვნებას, მხურვალე, მქუხარე და ხანგრძლივი ტაშით შეეგება. ძლიერი ტაშის ცემა რამდენიმე ხანს გაგრძელდა, რომლის დროსაც ქართული ხელოვნების უდიდესი ქურუმი, ლადო, დამსწრე საზოგადოებას პატივისცემისათვის მადლობას უხდიდა ბოლოს და ბოლოს საღამოს პასუხისმგებელი გამგე ქ-ნი ნინო მესხიშვილისა იქმნა მოწვეული სცენაზე და დამსწრე საზოგადოება დიდის ზეიმით შეეგება მას ასეთი მშვენიერი და შინაარსიანი საღამოს გამართვისათვის. ისმოდა გრიალი მქუხარე ტაშისა და „ბრავოს“ ძახილი. ქ-ნმა მესხიშვილისამ მთელი ქართველი სტუდენტობის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა დამსწრეთ თანაგრძნობისათვის და დახმარებისათვის. საღამო დასრულდა ქართული ცეკვა-თამაშით, რომლის დროსაც დიდებულად იცეკვა „ნაურსული“, ვანო ნანიაშვილმა. ნანიაშვილი მინსკში მსახურობს მაგრამ ამ საღამოსათვის იგი სპეციალურად იყო დაბარებული მოსკოვში. მისმა ხანჯლებით სწრაფმა თამაშმა დამსწრე საზოგადოება განცვიფრებაში და აღტაცებაში მოიყვანა; ძალზე ნისიამოვნებ საზოგადოებას დაშლა ეძნელებოდა ხალხი მხოლოდ ღამის 1-ნახევარ ს. დაიშალა. ყველანი დიდად მადლიერნი იყვნენ საღამოსი და ამ თავის მადლობას ხმა-მაღლა გამოსთქვამდნენ.

საღამოში მონაწილეობა უნდა მიეღო აგრეთვე ჩვენ ცნობილს თანამემამულეს ალ. იუჟინს (სუმბათაშვილს), მაგრამ მის სერიოზული ავადმყოფობისა გამო ეს შეუძლებელი გახლდათ. საღამო შემოსავლიანი იყო. წმიდა შემოსავალი 3,000 მანეთამდე აღწევს, რომლისდაგვარიც ქართულ საღამოზე ჯერჯერობით სრულებით არ ყოფილა. დიდი და გამოუთქმელი მადლობის ღირსია პატივცემთლი მსახიობი ქ-ნი ნინო მესხიშვილის ასული, რომელიც ასეთის გულმხურვალებით ეკიდება ქართველ მოსწავლეთა ინტერესებს და არავითარ ენერგიას არ ზოგავს, რომ თვის თანამემამულეთ სათანადო სამსახური გაუწიოს. წელს მეორე საღამოა, რომელიც გამართა ქ-ნმა მესხიშვილისამ. (პირველი შარშან გაიმართა). და ასეთი დაუზარებელი მუშაობისათვის ქართველი მოსწავლე ახალგაზდობა მას ყოველთვის თვის დიდად მადლობას ეტყვის და სამუდამოდ პატივით მოიხსენიებს ძვირფასი თანამემამულის დაუღალავ მუშაობას მოძმეთა უცხოეთში საკეთილდღეოდ გაწეულს.

* * *

სტუდენტთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების გამგეობას ძალიანი გამოცხოველება დ გამოფხიზლება ეტყობა. იგი დღეს-დღეობით შეძლებისდაგვარად ავადმყოფს მოსწავლე ახალგაზრდობის ეკონომიურსა თუ კულტურულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. მან დეკემბრის შუა რიცხვებში პატარა „სადამინკა“ გამართა და ახლა ქ-ნ ნ. მესხიშვილის მიერ გამართულ საღამოდან ალბად კარგა მიზიდილი თანხა დარჩება. ასე რომ ჯერ-ჯერობით საზოგადოების ეკონომიური მოთხოვნილებანი სანუგეშო პირობებშია ჩაყენებული. მასთან გამგეობამ იანვრის შუა რიცხვებში ამხანაგ ჯორჯიკიას რეფერატი მოაწყო, რომელსაც სტუდენტობა მრავლათ დაესწრო.

თებერვლის პირველ რიცხვებში ეგევე გამგეობა ბარათაშვილის ხსოვნის აღსანიშნავ საღამოს აწყობს, რომელზედაც რამდენიმე რეფერატი იქნება წაკითხული. ამ საღამოზე მკითხველთ თავის დროზე მოველაპარაკებით. ასე რომ სტუდენტთა ორგანიზაციათა მუშაობა გამოცხოველდა და თუ ეს ასე წავიდა შემდეგში, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველი მოსწავლე ახალგაზდობა თავს დააღწევს უმოქმედობას და სწრაფის ნაბიჯით გაემართება წინ.

მოსკოვის სამეცნიერო საზოგადოებაც შეძლების დაგვარად მოღვაწეობს. მან თვისი არსებობის მოკლე დროში ბევრი რამ გააკეთა დ იმედი გვაქვს, რომ მომავალშიც ასე გასწევს იგი თვის მოქმედებას. ამ საზოგადოების უკანასკნელ კრებაზე ქართველ ისრაელთა შესახებ მოხსენება იქნა წაკითხული სტუდ. იოსებ ხანანაშვილის მიერ. იგი უმტკიცებდა დამსწრე საზოგადოებას ქართველ ისრაელთა ქართველობას და უსაყვედურებდა ყველას და განსაკუთრებით ქართველ ინტელიგენციის თვის თანამოძმეთადმი დიდს უყურადღებობას და არა მრეწველობას. მოხსენების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარემ ალ. ჯავახიშვილმა, რომელმაც აღიარა, რომ ქართველ - ისრაელთა ქართველობა ჩვენთვის უკვე აშკარა უნდა იყვეს, რადგან ორი მეცნიერება ეთნოლოგია და ანტროპოლოგია ამას სავსებით ამტკიცებსო. მოხსენებას ახალგაზდობა ტაშით შეხვდა და ამხანაგს მუშაობისათვის მადლობა გადაუხადა. მოხსენების შემდეგ კამათი უნდა გამართულიყო, მაგრამ დროის უქონლობის გამო იგი შემდეგისათვის იქნა გადადებული, და მასზე დაწვრილებით მაშინ მოველაპარაკებით მკითხველებს.

ნირი.

თურქების პრესა

გაზეთ „იენი-იკბალ“-ში რედაქციის მიმართ „აჭარა-ხნედანი“-ს ფსევდონიმით დაბეჭდილია შემდეგი:

ბატონო რედაქტორო!

გაზეთი „სახალხო ფურცელი“-ს მიერ ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების მიმართ წამოყენებულ წინადადებებს კარგა ხანია ვეცნობით: აჭარელმა ქართველმა მაჰმადიანმა მხოლოდ ქართული უნდა ისწავლოს და თურქული არაო. ამ შეუფერებელი და ახირებული აზრის გამოთქმისათვის

ბა მართალია, რადგანაც ავტორი არც სახელს გვეუბნება, არც გვარსა.

უკანასკნელი გარემოებაა იმ მესხის მაჰმადიანობა ვეფხის ტყაოსნის ხალხის მაჰმადიანობა, რომელიც ბრაზსა ჰგვრის ზოგიერთ მოქრისტიანე მამულიშვილს. მე არ უწყი, რა აზრით უთქვამს ნ. მარს, მაგრამ ვეფხის ტყაოსნის ავტორს რომ მაჰმადიან არაბ-სპარსთა კულტურაზე ჭიპი მოუჭრია, თვით პოემის შინაარსი ამტკიცებს. მისი გმირები ისლამის წესებს საქმითაც ასრულებენ. ხოლო ბ. მარს ავტორის მაჰმადიანობა დაუკავშირებია მესხეთის მკვიდრთა მაჰმადიანობასთან, რაიც მისი აზრით 14, თუ 15 საუკუნის ამბავი უნდა იყვეს და ავტორსაც იმ დროს უნდა ეცხოვროს. ამის დასამტკიცებლად, ალბად, რამე საბუთი ექმნებოდა და საკვირველია, მისი გამქიქებელი მამულიშვილები რად არ იცდიან ლექციის დაბეჭდვამდე. თუ ბ. მარის მოსაზრება შეურყეველი გამოდგა, როგორც დაფუძნებული ისტორიულ ფაქტებზე, ვეფხის ტყაოსნის, ანუ ტარიელის მიჯნურობის ამბავში იქმნება მაინც ისეთი რამ, რაც საოცარ ანალოგიას წარმოადგენს თამარ მეფის ცხოვრების ზოგიერთი ამბისას, თამარის სახელი დღესაც ცხოვლად დაუცავს ჩვენს ერს და 14, თუ 15 საუკუნეში უფრო ცხოველ სახსოვარი არ იქმნებოდა, რომ რომელსამე ნიჭიერ პოეტს თავისი პოემის მასალად გამოეყენებიან, დაეხატა ტიპი ქალისა, რომელიც მამულის კეთილდღეობისთვის სისხლის ძიებასაც კი ურჩევს თავის მიჯნურსა?

ბ. მოსე ჯანაშვილი წასწყდომია ერთ ხელნაწერ ეტრატს და შიგ ერთ წარწერას, თუმცა აღდგენილს, სადაც იკითხება, სხვათა შორის, შოთა მგოსანი, რუსთაველი; სადაც აღნიშნულა შოთას სიკვდილის თარიღი—1219 წელი, თვე და რიცხვი—მაისის პირველი დღე, მისი მამის სახელი ჭიაბერი და სხვა. მაგრამ ის წარწერა ყალბი გამომდგარა, როგორც გვაუწყებენ ბ. ბ. ექვთიმე თაყაიშვილი და პავლე ინგოროყვა (გაზ. საქართველო იანვრის 28). დარწმუნებულნი უნდა ჰბრძანდებოდენ ბ.ბ. გ. გვაზავა, მ. ჯანაშვილი, გ. იმნაიშვილი დ. კასრაძე, რომ სულით და გულით გავიხარებდით, რომ დამტკიცებულიყო ხსენებულ წარწერის სიმართლე. წარწერის **მგოსანი** სწორეთ ქართულად გამოთქმული სომხური სიტყვაა **გოვასან** *), რომელიც ჰნიშნავს შემამკობელსა. ვეფხის ტყაოსნის დამწერი ვინმე მესხი თავის თავს უწოდებს მხოლოდ მელექსეს, რა ჰქვიან, არაფერს გვეუბნება, ხოლო მგოსანს ჰხმარობს მომღერლის აზრითა როგორც კაცის, ისე მფრინველისთვის. მომღერლისავე აზრით იხმარება მგოსანი ქართლის ცხოვრებაშიაც მეფის ფარსმან ქველის (ქრისტეს წინ) მოკვლის გამო: ყოველთა ქალაქთა და დაბნებთა დაჰსხდიან მგოსანნი გლოვისანი და ახსენებდიან სიმხნესა და სიქველესა... (იხ. ქართლის ცხოვრება გამოც. ზ. ჭიჭინაძის მიერ 1897 წ. გვ. 70). ვეფხის ტყაოსნის წინასიტყვაობის ავტორი კიდევ ორჯელ უწოდებს თავის თავს რუსთველს რუსობის ჟამნდელი პოეტებიც რუსთველს სწერდნენ. რუსთაველს გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები ჰხმარობენ უფრო ლექსისთვის. შოთა რუსთველი შეერქვა პოეტს, მაგრამ ორივ შოთაც და რუსთველიც საეჭვო არის, რადგანაც ზოგიერთი უარჰყოფს წინასიტყვაობას, სადაც რუსთველი იხსენიებს—შოთა ხომ არც იქ, არც ვეფხის ტყაოსანშია.

* *

ჩვენში თუმც ქალთული სწავლა განათლებას ყადაღა აძევს, ქართული სიტყვა კაზმული მწერლობა, განსაკუთრებით პოეზია მეტად გასტკბობია ქართველობას და მისი აწინდელი მოფუტურო პოეტი გამხდარა მიმდევარი ახლისა, ხოლო მას აქეთ, რაც ბურთის გასატყორცი ჩოგანი შემომტვრევია, დასჩემებია დავარდნილობა და გადაქცეულა სასწაულად მომავლისა. ქართული ფუტურიზმი ჩვენში ისწრაფის ფეხის მოკიდებასა. მისი მიზანი უნდა იყვეს დაშლის პროცესში ჰარმონიის ძიება, მაგრამ რამდენად გამართლდა, მისი მოწმეა ცისფერი ყანწები. ახალმა ქართულმა მწერლობამ ვერ მიაწია აღორძინების იმ განვითარებამდე, რომ ფორმითაც დასრულებული კლასიციზმი შექმნა, ყახლესმა კი არ დასდია მამების ანდერძსა და რაც რუსეთში ეგულებოდა და მისწვდა, გადმოიღო. ტილების ხოცვაც ერთგვარი დაშლის პროცესია, მაგრამ მისი ჰარმონია ცისფერ ყანწიანებს თუ იამებათ.

ერთი ახალი მიმართულებაც შეჰპარებია აწინდელ ქართულ პოეზისა. იგია ირანის მუზის თაყვანისცემა, რომელიც იკურთხა **ლეილას** მოვლინებით. უეჭველია, ლეილიან პოეტებს განზრახული აქვთ მიბაძვა მისი რაც ობოლ მარგალიტია სპარსული პოეზიისა. ბ. გრ. რობაქიძეს ლეილასთვის უძღვნია მოწინავე წერილი, სადაც ჰბრძანებს, განა რუსთველმა არ შეჰკრა სინთეზი აღმოსავლეთის დაჩრდილული ფიქრის და იტალიის აშადრევნებული რენესანსისაო. ჩემი აზრით სამძიმო საქმე დაუვალებია ლეილას ქართული მიჯნურებისთვის. საქართველოს ნიადაგზე ლეილას მიჯნურებმა ორი კულტურა ახალ სპარსული და ახალ ევროპიული (თუ მოსკოური?) ისე უნდა შეაუღლონ ქართულთან, რომ მათი ერთობის ნაყოფი იქმნეს მეორე ახალი სინთეზი. მაგრამ ძველმა ქართველებმა შესძლეს სპარსული კულტურის შეთვისება და დამყნობა ქართულზე სურვილით კი არა მარტო, არამედ საქმითაც. იმდენად დახელოვნებულ იყვნენ, რომ პორნოგრაფიის გამოთქმაც კი შნოიანად იცოდნენ ასე, რომ გასაგონად საჩოთირო არ ყოფილიყო. ვშიშობ ლეილას მიჯნურობა არ გამოდგეს ისეთი, რომ გამართლდეს შოთა რუსთველის სიტყვა:

კვლავ ზოგთა ქვეუძს ბუნება
კეკლუცთა ზედან ფრენითა.

* *

ბაქოს მუსულმანთ საქველმოქმედო საზოგადოებამ პოლიტიკას მიჰყო ხელი. ერთმორწმუნე სხვა ტომელთა გათურქებისთვის საშუალებად ჰხმარობს ისლამს ისევე, როგორც რუსის და სომხის პოლიტიკანები თავიანთი სარწმუნოების შემწეობით პირველნი მართლმადიდებელ ქართველებს არუსებენ, ხოლო მეორენი გრიგორიან ქართველებს ასომხებენ. უკაცრავად ვარ მათთან, მაგრამ მე უნდა უწოდო მათ თათრები და არა თურქები. *) შესაძლებელია თურქი და თათარი ერთი მოდგმის იყვნენ, მაგრამ დიალექტური განსხვავება მათ შორის ისეთია, რომ არსებობს ცალკე ოსმალური და ცალკე თათრული მწერლობა. ჰო და ეხლა ბ. სულთანოვს და მის თანამოაზრეებს ახირებული პოლიტიკა გაუჩაღებიათ და სწადიათ თათრობის გასავრცელებლად მოიმიზეზონ ბედი ისლამისა, რომელიც ვითომ განსაცდელში ჩავარდება, თუ მათი მზრუნველობა მოაკლდათ მუსულმან ქართველებს. დღეს უაზრობაა სარწმუნოების დაბადება და ქართველობა ამ სენისაგან ყოველთვის თავისუფალი ყოფილა. ამას დაამოწმებენ თვით ჩვენი მომე მუსულმანი ქართველები. პირიქით სარწმუნოების დროშით გამოდიან ჩვენებური თათრები, განსაკუთრებით მათი ნასწავლი მწერალი შვილები დ ყველაფერს მუსულმანურს უწოდებენ; ენას, თეატრს, სკოლას, გაზეთს დ სხვას. კაცმა არ იცის რას იგულისხმებენ, თათრულს, ოსმალურს, არაბულს, თუ სპარსულს.

ერთა გასაერთიანებლად დღეს სარწმუნოება ყველაზე ნაკლებ როლს ჰთამაშობს. დღეს საერთო ეკონომიური პოლიტიკური ინტერესია ერთობის შემოქმედი, სხვა და სხვა ნაირად მორწმუნე ერთა გამაერთიანებელი. ეხლანდელ ომში ლოთრანგი გერმანელები, კათოლიკე ავსტრიელ ჰუნგრელები, მართლმადიდებელი ბულგარები და მაჰმადიანი ოსმალები ხელიხელ ჩაკიდებით ებრძვიან ინგლისს, საფრანგეთს და რუსეთსა. რამ გამოიწვია ასეთი ერთობა ან ერთის, ან მეორის მხრით. რასაკვირველია არა რჯულთა ერთობამ. კომპაქტად მოსახლე კავკასიის თათრობა უფრო ძლიერია, ვიდრე დანარჩენი რუსეთის თათრები, რომელნიც სახელმწიფოს სხვა მკვიდრთა შორის გაფანტულან. ყოველმა ერმა ჯერ თავის თავისა უნდა იკითხოს, თავის ბედისათვის უნდა იზრუნოს. განა ბ. სულთანოვს და მისთანებს ერთმორწმუნე: შიიტი და ერთ ტომელი თათრობა ცოტა არ ჰყავსთ რომელთაც სჭირიათ მათი მზრუნველობა? რაღა სუნიტი და სხვა ტომელი ქართველების ბედს დაუფიქრებია? მაგრამ არა. მაშინ ისლამი განსაცდელში ჩავარდება, თუ მუსულმანი ქართველობა ქართულ სკოლაში გამოიზარდა: ქართულ სკოლაში ისლამი ჯერ არ შერყეულა, არც მომავალში შეირყევა, რადგანაც ქრისტიანი ქართველობა გონებით ჯერ იმდენად არ დაბნელებულა, რომ ისეთ საზიზღარ საქმეს მიჰმართოს საქართველოს მერმისის საუბედუროდ, მაგრამ ბაქოს თათრულ სკოლაში მუსულმან ქართველ ბავშებს მშობლებთან ქართულად მიწერმოწერას უკრძალავდნენ. რა ეწოდება ამას თუ არ თათრობის გავრცელება ისლამის სახელითა? როგორც სარწმუნოებაში, ისევე არც გვარ ტომობაში არ უნდა იქმნეს ძალადობა. ღრმადა ვართ დაუწმუნებულნი, რომ ჩვენებურ გამათათრებლებს ქართული ყურნის გამოცემა არ ესიამოვნათ. გათქმულმა ქველმოქმედმა ბ. თაღიევმა, რომელსაც მივჰმართე შემწეობისთვის ქართული ყურნის გამოსაცემად, სეკრეტრის პირით შემომითვალა, თქვენი სათხოვარი მუსულმანთ საქველმოქმედო საზოგადოებას გადაეცა განსახილველადო. თუმცა ბ. თაღიევმა პირველად დიდი თანაგრძნობა გამომიცხადა და მისივე თხოვნით ყოველი საჭირო ცნობა მივაწოდე, მისგან პასუხი აღარ მომსვლია. უთუოდ ქუჩაში არ დაუგდიათ ქართული ყურნის გამოცემა, როგორც ეროვნული გრძნობის შემტანი ღონისძიება მუსულმან ქართველობაში. ვერ დავეთანხმებით აგრეთვე ქართველთ რუსულ გაზეთს „ზაკავკაზსკაია რეჩს“, რომელიც ამბობს, თანხმობის ჩამოსაგდებად საჭიროა ქართველთ საქველმოქმედო საზოგადოებამ წინდაწინ მოილაპარაკოს ბაქოს მუსულმანთ საქველმოქმედო საზოგადოებასთან ყოველთვის, როცა მოისურვებს სამაჰმადიანო საქართველოში ქართული სკოლის გახსნასაო. რად, რისთვის? მაჰმადიანთ საქველმოქმედო საზოგადოებანი სხვაგანაც არიან, ეგებ უკეთესი იქნეს, იმათ შევეკითხნეთ. კმარა ქართველობის წეწვა-გლეჯა გადასაგვარებლად რჯულის სახელით. ამის ნებას არავის მივსცემთ და საკმაოდ შესწევს ღონე ჩვენს ქადილს, რომ ასეთი იერიში ყოველთვის უკუ ვაგდოთ, ვინც არ უნდა მოიტანოს ჩვენზე.

პეტრე მირიანაშვილი.

---

*) გოვასან=გყასან=გოსან=მგოსანი შეადარე ცხოვარი=ცხვარი—ცხორი.

პ. მ.

*) თურქი და თათარი ქართულ ძველ მწერლობაში განსხვავებულია, უკანასკნელი ე. ი. თათარი ცხოვრებაშიაც, ხოლო თურქის მაგიერ იხმარება ოსმალო.

ხსენებული გაზეთის წინააღმდეგ პასუხის გაცემას თვით ჩვენი თანამოძმე ქართველ ქრისტიანებიდან მოველოდით, მაგრამ ამაოდ, არც ერთმა ჩვენმა მეზობლებმა ქრისტიან ქართველმა ძმებმა პასუხი არ გასცა და „სახალხო ფურცელი“-ც თავის პოზიციის სიმართლედ ცნობით, ისევ ჩვეულებრივად განაგრძობს და მთელ ქართველ მაჰმადიანობას ეჭვსა ჰგვრის. ამიტომ იძულებული ვრჩებით გავცეთ პასუხი მას და გთხოვთ ამ ჩემ წერილს თქვენი პატივცემული გაზეთის ერთ კუთხეში ადგილი დაუთმოთ.

პატივცემულ ქართულ გაზეთს „სახალხო ფურცელს“ აჭარელი ქართველი მაჰმადიანების ბავშვებისათვის მხოლოდ ქართულის სწავლება რომ იდეალად გაუხდია და თურქულზედ უარს ამბობს და თანაც მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების წინააღმდეგ რომ ილაშქრებს პროტესტს აცხადებს, ეს გარემოება ჩვენ ძალიან გვაოცებს. რისთვის, რად უბადებს მთელს ქართველ მაჰმადიანობას გულში ეჭვს და თანაც თავის მეგობარ მთელი კავკასიის მაჰმადიანებს საბრძოლველად იწვევს? ჩვენ აჭარლებმა ვისმე ვექილობა მივეცით განა? ვინაა ჩვენი შვილების „აპეკუნები“? მერე რად არიან ასეთ შეუფერებელ და უნიადაგო იდეალებით გამსჭვალულნი? ჩვენ აჭარის მაჰმადიანები ქართველის შთამომავლობიდან რომ ვართ, ეს ყველამ უწყის. სულ მუდამ ჩვენი ქართველი ქრისტიანი ძმებით ვამაყობთ და მათი ჩვენდამი აღმოჩენილი სიკეთისა და დახმარებისათვის მადლობას ვაცხადებთ. მაგრამ ჩვენს მეგობარს „სახალხო ფურცელს“ ეს უნდა ახსოვდეს, რომ თუმცა ქართველის შთამომავლობა ვართ, მაგრამ რაკი მაჰმადის სარწმუნოებისა ვართ, მაჰმადის მოძღვრებისა და თურქულის სწავლას არასოდეს მოვცილებულვართ და არც მოვცილდებით. ყოველ ენაზე უფრო ჩვენთვის საჭიროა თურქული ენის სწავლა. ძველიდანვე აჭარლებს შავშეთში, იმერხევში თურქული სკოლები ჰქონდათ და ეხლაცა აქვთ. როგორც საამქვეყნო, ისე საიმქვეყნო სწავლას სულ მუდამ იქ ითვისებდნენ. დღეს ამის გამო რაკი დავიჩაგრეთ და გაჭირვებაში ჩავარდით, როგორც ქრისტიანი, ისე მაჰმადიანი ჩვენი ძმები დახმარებას გვაძლევენ. დღეს ჩვენი ქრისტიანი ქართველი ძმები ჩვენი შვილების გაბედნიერებისათვის რომ რუსულსა და ქართულ სკოლებს გვიხსნიან, აგრეთვე ბაქოსა და კავკასიის მაჰმადიანებისაც ჩვენში თურქული სკოლების გახსნა მოვთხოვეთ. ჩვენმა მაჰმადიანმა ძმებმა ჩვენი თხოვნა რომ შეიწყნარეს და სკოლების გახსნის აზრს რომ დაადგნენ, „სახალხო ფურცელი“-ს მიერ ასე უნიადაგოდ შეუფერებლად გამოსვლასა ალიაქოთის ატეხას რა აზრი აქვს, ვერ გაგვიგია. თუ „სახალხო ფურცელს“ ჰგონია, რომ რაკი თურქული სკოლები აღარ იქნება, ბავშვები იძულებული დარჩებიან ქართულ სკოლაში იარონო, ამაში ძალიან სცდება. მე, როგორც ერთმა აჭარელმა, კარგად ვიცი მთელი აჭარის სულისკვეთება და „სახალხო ფურცელის“ მიერ ამისთანა პოზიციის შილება აჭარლების ბავშვებს სულ ერთიანად დააფრთხობს, ქართულის სწავლაზედაც ხელს აიღებენ და მთელი ჩვენი კავკასიის მაჰმადიანთა და ქართველ ძმებ შორის უთანხმოების ჩამომგდებ მიზეზად შეიქმნება. ასეთს მნიშვნელოვან მომენტში ასეთს შეუფერებელ გამოსვლას ადგილი არ უნდა ჰქონებოდა.

ეხლა კი ვთხოვთ „სახალხო ფურცელსა“ და ვევედრებით, რომ ამისთანა კამათებს თავი გაანებოს და აგრეთვე ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებასაც—ყველა იმ სიტყვებს, რომელიც აჭარის შესახებ თქმულა, ყურადღებას ნუ მიაქცევს და შეძლებისა და გვარად ჩვენი აჭარლების შვილების სიბნელიდან გამოყვანისა და სწავლა-განათლებისათვის თურქულ ენაზე სკოლები გაგვიხსნას.

აჭარა-ხნედანი.

30 იანვარი 1917 წ.

მოწერილი ამბები

დ. ჩოხატაური (ოზურგეთ-ჩოხატაურის გზა). დ. ჩოხატაურსა დ ოზურგეთ შუა გაყვანილია გზა-ტკეცილი. აღნიშნული გზა სახაზინოა და ხაზინის ხარჯითაც კეთდება. მას ყავს სპეციალურად დანიშნული ზედამხედველი და საჭირო რიცხვი მუშებისა, მაგრამ კითხვა იბადება: არის თუ არა ეს გზა ეხლა რიგიანად შენახული და შეიძლება თუ არა მაზე დაუბრკოლებლივ მგზავრობა? დ. ჩოხატაურსა და ოზურგეთ შუა სწარმოებს დელეჟნის მიმოსვლა, რომელიც ჩოხატაურიდან გადის დილას და საღამოს უკან ბრუნდება. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში დილიჟანი იგვიანებს. მიზეზი ის არის, რომ თითქმის ყველა ბოგირები (პატარა ხიდები) გაფუჭებულია და მათზედ მიმოსვლა შეუძლებელი გამხდარა. ამისათვის დილიჟანი უნდა ჩავიდეს ხრამში (მგზავრები წინდაწინვე ჩამოდიან დელეჟნიდან) და აქიდან გაჭირვებით ამოვიდეს გზაზე. ასეთი ისტორია მეორდება ყველა ხიდებთან. მიუახლოვდება თუ არა დელეჟანი ხიდს, მგზავრები ჩამოდიან, მერე ჩაჯდებიან და ასე არ უჩანს ბოლო წვალებას. უფრო ეს ითქმის ჩოხატაურსა და ნაგომარს შუა გზაზე. ყველას, ვისაც კი ამ გზაზე შეხვედრია მგზავრობა, შემოგჩივლებს: „კაცო, ოზურგეთში ვიყავი, პირდაპირ გავმწარდი ამდენი ჩამოხტომით დელეჟნიდან, ფეხით მგზავრობა სჯობია ასეთ წვალებით მგზავრობასაო“ და ეს სრული ჭეშმარიტებაა. მე მგონია ზედამხედველიც იმისთვის ჰყავს გზას, რომ მას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და საქმის ნამდვილი ვითარება ვისაც ჯერ არს მოახსენოს, რათა ამრიგად მის შეკეთებაზე იზრუნონ. მაგრამ ის ამისთვის, როგორც სჩანს, თავს არ იტკივებს და მგზავრობა კი შეუძლებელი გამხდარა. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს და შეკეთდეს წამხდარი ხიდები. მით უმეტეს ეს დაყონებას არ ითმენს, რადგან აღნიშნული გზა ძლიერ საჭიროა და მიმოსვლაც განუწყვეტლივ სწარმოებს.

მგზავრი.

—

ოზურგეთი. კვირას 5 თებერვალს, ახალ თეატრის დარბაზში, ქ-ნ სალომე ხუნდაძის თაოსნობით გაიმართა სამუსიკალო და სალიტერატურო საღამო, ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების ფონდის გასაძლიერებლად. საღამო შესდგებოდა სამი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში მოწაფეების მიერ წარმოდგენილი იქნა ორ მოქმედებიანი ვოდევილი „ადამ და ევა“, რომელთა მშვენივრად როლების განსახიერებამ საზოგადოება ძლიერ ასიამოვნა. ამავე განყოფილებაში წაკითხულ იქმნა მოწაფეებისგან ქართული ლექსები და მღეროდა ქართული ხორო, ბ-ნ უშვერიძის ლოტბარობით.

მეორე განყოფილებაში წარმოადგინეს რუსულად გოგოლის სცენა „რევიზორიდან“ მოწაფეებმა წაიკითხეს ლექსები რუსულად და გალობდა სასწავლებლის ხორო.

მესამე განყოფილებაში მოწაფე ჯაველიძემ წაიკითხა რუსულად ჩეხოვის იუმორისტული ლექცია „თამბაქოს მავნებლობაზე“ და საზოგადოება ბევრი აცინა. დასასრულ დადგმულ იქმნა ცოცხალი სურათები. წარმოდგენის გათავების შემდეგ, გამართულ იქმნა ვახშამი. როგორც ვიცით, „ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოება“ ასეთ საღამოს მართავს წელიწადში ერთხელ, რომლის წმინდა შემოსავლით დახმარებას უჩენენ ოზურგეთის ღარიბ და ხელმოკლე მოწაფეებს, მაგრამ უორგანიზაციობის გამო, ყოველთვის გამართულ საღამოდან ისეთი რამ მცირე ჯამი რჩებოდა, რომ ამ თანხით მხოლოდ პირველ დაწყებით უმაღლ. სასწავ. მოწაფეებს უჩენდნენ და სხვები კი უსარგებლოდ რჩებოდა. წელს კი ამ საღამოს სურათი და მისი შემოსავალი საგრძნობლად შეიცვალა. მოულოდნელად საღამომ წმინდა შემოსავალი ათას მანეთამდის დატოვა, რომელიც არვის ახსოვს. ეს უნდა მივაწეროო გამგეობის თავმჯდომარის ქ-ნ ხუნდაძის მეცადინეობას და საზოგადოდ მთელ გამგეობის სოლიდარულ მუშაობას. ვუსურვებთ გამგეობას, ამ ფრიად სიმპატიურ საქმისთვის უფრო ღრმა საძირკველი ჩაეყაროთ და მადლობას ვწირავთ იმ უსასყიდლო შრომისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს. აქვე გამგეობის ყურადღება მინდა მივაქციო შემდეგ გარემოებას: როგორც წესდებისგან ვიცით უპირატესობა ფულის განაწილების დროს ეძლევა პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებლის მოწაფეებს და შემდეგ კი სხვებს, მაგრამ ამ ფორმალურ მხარეს გამგეობა იმედია ყურადღებას არ მიაქცევს და შეძლების დაგვარად დააკმაყოფილებს ოზურგეთის ყველა ღარიბ მოწაფეებს.

იაგუნდი.

რუსეთის ამბები

— პროტოპოპოვი უარჰყოფს ხმას, ვითომ იგი აპირებდეს კანონპროექტის შემუშავებას, რომლის ძალითაც სახელმწიფო სათათბიროს წევრებს ვითომ ჯამაგირი უნდა მიემატოთ.

— მიწადმოქმედების და ფინანსთა მინისტრები შეთანხმდნენ და ნება მისცეს სააქციონერო „ჩრდილოეთის სასურსათო საზოგადოებას“ საზღვარგარეთიდან დროებით უბაჟოდ შემოიტანოს შაქარი. საზოგადოება ჰპირდება მთავრობას—1 აგვისტომდე 3 მილიონ ფუთ შაქარს შემოვიტანთო. პირველ ორ მილიონს საზოგადოება შემოიტანს 45 დღის განმავლობაში.

— ობერ-პროკურორი რაევი აპირებს სახელმწიფო სათათბიროს უახლოეს კრებაზე გამოვიდეს და განმარტება მისცეს სასინოდო ობერპროკურორის მეორე თანაშემწის თანამდებობის დაარსების გამო.

— მოსკოვის ქალაქის მოურავს და თვითმართველობას გაფრთხილება მოუვიდა—თუ საჯარო კრებებზე ქალაქის საბჭო კიდევ შეეხება საპოლიტიკო საკითხებს, ყველას სამართალში მიგცემთო.

— მოკავშირეთა წარმომადგენელნი, რომელნიც კონფერენციაზე არიან ჩამოსულნი, ძალიან არიან დაინტერესებულნი სათათბიროთი და საბჭოთი. აპირებენ ყველანი დაესწრან პირველ სხდომას.

— სათათბიროს გახსნის გამო პროგრესიულ ბლოკს კრება ჰქონდა—რა ტაქტიკას დავადგეთო. გამოირკვა, რომ მთავრობის წარმომადგენელნი სრულიად არ ილაპარაკებენ პირველ სხდომაზე. თ-დი გოლიცინი უბრალოდაც არ მიესალმება სათათბიროს.

გადასწყვიტეს ჯერ ალაპარაკონ როძიანკო, მერე ფრაქციათა წარმომადგენელნი, რათა ყველას საშუალება მიეცეს საპოლიტიკო საკითხებს შეეხოსო.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! „სახალხო ფურცელში“ ბ-ნი ვ. კარსანიძე და რუსუნ ბოლქვაძე არდანუჩიდან დაბეჯითებით გთხოვდათ როგორმე გაგეგებინებიათ ჩემი მისამართი. ვაუწყებ ბ-ნ კარსანიძეს და რუს. ბოლქვაძეს ჩემს მისამართს: ქუთაისი, ივანოვის ქ. № 11 თ-დ ბონდო მიქელაძეს სანდრო ლორთქიფანიძისათვის.

პატივისცემით **სანდრო ლორთქიფანიძე**

—

ბ-ნო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ალამბრის ყოფილ მასწავლებელ მარიამ კალანდაძეს, ტფილისის ქართულ ქალთა გიმნაზიის მესამე განყოფილების მოწაფეებს დ აგრეთვე იმ პირთ, რომლებმაც კეთილი ინებეს და შემოსწირეს სხვა და სხვა საბავშვო საკითხავი წიგნები 185 ცალი ალამბრის ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოების სკოლას. ჩვენი პატარა აჭარლებისთვის.

მასწავლებელი ქალი ქ. თოდუა.

შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „სახალხო ფურცლის“ მორიგ ნომერში ამ პატარა წერილს: ნახევარი წელი გადის მას შემდეგ, რაც სოფელ ზემოხეთმა (გურიაშია) შუამდგომლობა აღძრა სათანადო მთავრობის წინაშე სამკითხველოს დაარსების შესახებ. სამკითხველოს დაარსებას ამ სოფლის მკვიდრნი დიდის აღტაცებით შეხვდნენ და შემოწირულებაც უხვად გაიღეს, რაც ცალკე გვექნება აღნიშნული გაზეთებში. ამ დღეებში სამკითხველოს გახსნის ნებართვაც მოგვივიდა. მომავალ სამკითხველოს ჟურნალ-გაზეთების ერთი წლით გამოწერით დახმარება აღუთქვეს შემდეგ პირებმა: ივანე ლაზარეს ძე თევზაძემ „სახალხო ფურცელი“, მასწ. ივანე ორაგველიძემ „თანამედროვე აზრი“, ოლღა შევარდნაძისამ „ნაკადული“, ქეთია ნიკოლაიშვილისამ „თეატრი და ცხოვრება“ ივანე ესეს ძე თევზაძემ „ჩვენი მეგობარი“ ივანე ანდრიას ძე ნიკოლაიშვილმა „ჯეჯილი“, ოლღა თევზაძისამ „ეშმაკის მათრახი“ რაჟდენ დარისპანის ძე თევზაძემ „საქართველო“.

ხსენებულ პატივცემულ პირებს და ყველა იმათ, ვინც ამ ახლად დაარსებულ სამკითხველოს წიგნებით თუ ჟურნალ-გაზეთებით დახმარებას აღმოუჩენს, ვთხოვთ ყოველივე ეს გამოგზავნონ შემდეგი მისამართით: **Черезъ станцію Саджевахо, Степану Бичіевичу Торгомадзе, для Квирике-Земохетской читальни.**

უმორჩილესად ვსთხოვთ პატივცემულ სხვა გაზეთებსაც ეს წერილი გადაბეჭდონ.

პატივისცემით **ნადიკო გოგოლაშვილისა.**

—

ბ-ნო რედაქტორო; გთხოვთ თქვენ გაზეთში მოათავსოთ შემდეგი ანგარიში, 14 იანვარს 1917 წ. გორის ქართვ. ქალ. „მანდილოსანის“ გამგეობამ, თავისი უფასო სკოლის სასარგებლოდ გამართა წარმოდგენა, რომელმაც წმინდა შემოსავალი მისცა 316 მან. 50 კაპ.

ამავე დღეს „მანდილოსნის“ უფასო სკოლის სასარგებლოდ მოკრეფილ იქმნა ყულაბებით ფული. ყულაბებში აღმოჩნდა 383 მ. 87 კაპ. „მანდილოსნის“ გამგეობა დიდ მადლობას უხდის: ქ. ქ. კნ. ან. წერეთლისას, მ. ელიოზიშვილისას, მ. გვერწითლისას, მ. ლორთქიფანიძისას, ელ. ჯავახიშვილისას, კნ. თ. ერისთავისას, მ. კლიმიაშვილისას, კნ. ელ. ფავლენიშვილს, ან. თუხარელს, კნ. ელ. ლორთქიფანიძეს, რომელთაც ხელი შეუწყეს ფულის მოგროვებაში, და კნ. ს. ციციშვილისას, ბ.ბ. უტურაშვილს, ალ. ჩუტკერაშვილს, ეს. ხუციშვილს, ალ. ციციშვილს, გ. სალარიძეს, ზაქ. ჯავახიშვილს, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს საღამოს მოწყობაში.

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ გადასცეთ ქართულ გიმნაზიის სასადილოს ორი თუმანი.

აღსანიშნავად ჩემი ძვირფასი დისწულის პრაპორჩიკის ნიკოლოზ ნიკიფორის ძის მამამთავრიშვილისა.

სოფიო ივანეშვილი.

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ მოგვცეთ საშუალება გამოუცხადოთ დიდი მადლობა ს. ვეჯინის მცხოვრებს ზაქარია ვასილის ძე ჯაჭვაძეს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა წ.-კ. ს. სიღნაღის განყოფილებას (80 მ.) რვა თუმანი და (20 მ.) ორი თუმანიც მუდმივ საწევრო ფული შემოიტანა, სულ 100 მ. ათი თუმანი.

სიღნაღის განყოფილების **გამგეობა.**

—

ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს სასარგებლოდ შემოვიდა: 100 მან. გ. ს. პ., იმ გვირგვინის ნაცვლად, რომელთაც გოგოჩკა თუმანიშვილის კუბო უნდა შეემკო; 25 მ. ექ. ი. გ. და ე. ი. გომართლებისაგან იმ გვირგვინის ნაცვლად, რომლითაც ა, ძ. პეტინაძის კუბო უნდა შეემკოთ; ივ. ივ. ზურაბიშვილისაგან—10 მან. და 3 მან. ო. ნ. ჯანელიძისაგან. გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის ზემო-აღნიშნულ შემომწირველთ.

—

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გადაუხადოთ იმ პირთ, რომელთაც შემოსწირეს „მანდილოსნის“ უფასო სასწავლებელს: გორის სამაზრო კომიტეტმა 210 მან., სათავად-აზნაურო კომიტეტმა 50 მან. გორის საკრებ. დარბაზ. მამასახლისთა საბჭომ 30 მან,, ბ. მ. დ. კვალიაშვილმა 12 მ., ბ. ს. ტატიშვილმა 10 მან., არ. მარუტოვმა 10 მან. გორის ქალ. გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფე ექ. კვალიაშვილმა 6 მან.

გორის „მანდილოსნის“ **გამგეობა.**

ქართველები ჯარში

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ დაგვიბეჭდოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში: წელიწად-ნახევარი გადის, არავითარი ცნობა არა მაქვს ჩემი შვილის ჯარის-კაცის ბებურიანელ, ლელიანის საზოგადოების სევერიანე ოქრუას ძე შეყელაძისა, რომელიც მსახურებდა: „Дѣйст. армія 193 Свияжскій полкъ, 24 корпусъ, 49 дивизія 10 рота-ში.“ მისი როტის უფროსი იყო „Границовъ“. ამას წინად მისმა ამხანაგმა მაცნობა წერილობით ზემო მოყვანილი მისამართი და სამ ივნისს დაიჭრაო, ხელმოუწერელი და ამის გამო ვერაფერი გავიგე. ვთხოვთ უმორჩილესად ვინც რამე იცის ჩემი შვილის სევერიანე ოქრუას ძე შეყელაძის შესახებ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: **Гурджаани Алексѣевскому аптекарю Гвилава** ოქრო შეყელაძისათვის.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ჯორჯაძე.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის
მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

			ს. წ.	
ტფილისიდან გადის:				
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9,28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.18	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	9 „	დილ.
გორისკენ	სამგზ.	№ 5,	9.10	დილ.
ტფილისში მოდის:				
ბათუმიდან	სამგზ.	№ 10	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
გორიდან	სამგზ.	. . .	6.34	საღ.
თელავიდან		. . № 3,	6.24	„

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606“ და „914“
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.).
ბ. გ. აგახაროვი: $9\frac{1}{2}$—2 ს. ბავშვთ შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალურ. ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ი. ა. ნავასარდიანი.
1057

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქ., საკუთ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.
ყოველ დღე მოგვდის ახალი ქვირითის ხიზილალა, სრულებით ცოტა მარილიანი, შავი „მეშოხნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შემაიები. მუდმივ გვაქვს ცოცხალი, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. ხანგრძლივ ინახება.
1085

ქარების (რევმატიზმის)
ნეკრისის
თირკმელების (ჭაჭების)
და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია „უროდონალ“, სრულიად უვნებელია და მოქმედობს ძლიერ კარგად. ფასი ხუთი მანეთი.
დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბარატორიის ტფილისის განყოფილებას.
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16. განყ. 1—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.
Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская № 16 отд. 1—9. противъ Государственнаго Банка.

კაცობრიობის მტერი
დამარცხებულია!!
სუსუნატი მორჩენილია. დადგა სანატრელი დრო,
ბოლო მოეღო ტანჯვას.
სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით“ თავისი შესაზხაპუნებლით და დასალევით. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ექიმებისა და პროფესორების მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია
თუ თქვენთვის ეს საკმაო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშუალებაა.

საშუალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. სუსუნატი გახლავთ ორნაირი ახალი და დაძველებული. ფასი ახალის სუსუნატის მოსარჩენი 22 მანეთი და დაძველებულის 35 მანეთი. ნახევარი კურსი გარე ქვეყნებში არ იგზავნება. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 5 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ რ. შმიდტ ტფილისი, თხინვალის ქუჩა № 12. მახლობლად გოლოვინის პროსპექტისა და მეგავის ქუჩის. 2 ნაწ.

Р. ШМИДТЪ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12. 2 уч. отд. 1—2.
პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. 1358

სუსუნატით (გონორეა)
ავადმყოფებს
რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდ-ძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს“, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას, ჭაგებისას და სხვ.
რატომ
ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება
იმიტომ რომ
ჯერ ერთი დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.
მეორედ იმიტომ, რომ მართლაც ძნელი ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა,
მაგრამ ყველა ავადმყოფებს, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს საშუალება „ურიტალი“. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა რომ
ურიტალი
ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებაში. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16, ნაწ. 1—1. სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.
За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская № 16 отд—1—1. на противъ Государственнаго Банка.

Дозволено военной цензурой
სტამბა „ქართველი“ [illegible] ციციშვილისა. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. სემინარიის შენობა